# კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

კვირა, ნოემბრის 10

1918 წელი.

№ 8.

ფასი 70 კაპ.

რკინის გზაზე 80 კაპ.

ყოველ-კვირეული

გაზეთი „კ ლ დ ე“ გაზეთი

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის

მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 5 მანეთი, ცალკე ნომერი 70 კაპ.

განცხადებათა ფასი მორიგებით.

რედაქციის ადრესი: თბილისი იზმაილოვის ქუჩა, № 27, ბ. № 3. ტელეფ. № 22.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

კონტორაში (გაბაანთ შესახვევი № 3, შკოლის შესავალი).


## შ ი ნ ა ა რ ს ი.


**გრ. ვეშაპელი** ჩვენი პარტიის ორგანიზაციისათვის.

**არტურ ლაისტი.** საერთაშორისო კონგრესი თუ ტრიბუნალი.

**გრაფ გოლფსკელის** მოხსენება ქართული ჯარის ორგანიზაციის შესახებ.

**საკვირაო მიმოხილვა:** ე. გეგეჭკორის პოლიტიკა — გერმანელები საქართველოს შესახებ — სომხები და ეროვნულ-დემოკრატები — ბაგრატიონ-დავითაშვილის საქმე. კაჩუხოვის ბედი.

**მიხაკო წერეთლის** წიგნიდან: Das Neue Georgien.

**ი. ქუთნია** საქართველოსა და სომხეთის საზღვრები („ქართლის ცხოვრებიდან“)

**ი. ნიჟარაძე** მიწის საკითხი გერმანიაში.

**ვ. სიქთარულელი.** მუშათა საბჭოს სხდომა

**ს. შამათავა.** სამეგრელოს აგრარული ცხოვრებიდან.

**ი. დიდიძე.** არტილერისტის ფიქრები.

**ქართული პრესა** 30 მილ. ფონდის შესახებ

**ფელეტონი.** სოციალისტური რესპუბლიკა (ახალი ფული).

**კორესპონდენცია.** კ. კალატოზიშვილის მეურნეობა.

**ი. გრიშაშვილი.** ძველი თფილისი და საიათნოვა.


## უკანასკნელი ცნობები.

შავ ზღვაზე, ინგლისის წყალქვეშათა გამოჩენის გამო შინ მიმავალი გერმანული ეშელონები ფოთიდან თბილისში დაბრუნდნენ

ბათომის ოსმალურ გარნიზონის მეტი წილ[ი] უკვე სტამბოლს წავიდა; თან მიაქვთ ზარბაზნები.

ძეგვის ხიდი გაკეთდა და ზედ მ ტარებელმა გაიარა.

ლევან ყიფიანს ატუსაღებენ, მაგრამ მიიმალა.

სომხეთის მთავრობა შეიცვალა ნახევარი ალაგი არა სოციალისტებს დაუთმეს.

უფაში მცხოვრებ რუსეთის მთავრობამ საქართველოსთან მოსალაპარაკებლად მალიანტოვიჩი გამოგზავნა.

გერმანიის ბავარიელი ჯარები ავსტრიაში შეიჭრნენ და ტიროლი დაიკავეს.

ინგლისი დათანხმდა გერმანიასთან საზავო მოლაპარაკებას ვილსონის პროგრამით, მხოლოდ „ზღვების თავისუფლებაზე“ ყოყმანობს.

გერმანიის საზავო დელეგაცია გენერალ ფოშთან მივიდა.

## ჩვენი პარტიის ორგანიზაციისათვის.

წარსულ კვირას ჩვენ მივმართეთ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის უმრავლესობას განცხადებით, სადაც ვეკითხებოდით, თანახმაა იგი თუ არა დაუყონებლივ მოწვეულ იქმნას დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ მთავარ კომიტეტთან შეთანხმებით პარტიის მესამე კონფერენცია...

ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი თავის გრძელ საპასუხო ეპისტოლეში (გაზეთ „საქართველოს“ № 211) გადაჭრით გვეუბნება: „ჩვენი გზები სხვა და სხვაა, როგორც იდეოლოგიის, ისე ტაქტიკის მხრივო“. და თუ რა გზას ადგიან თვით „საქართველოელნი“, ეს იქიდან სჩანს რომ ჩვენ „დამოუკიდებლებს“ ბრალსა გვდებენ იმაში, ვითომ ჩვენ „ვაჭრობა-მრეწველობის მომავალი და მისი შემოქმედებითი ძლიერება“ არ გვაინტერესებს.

აღარ შევეხებით „საქართველოელთა“ მთავარ კომიტეტის ყველა საპასუხო საბუთს: მოგვბეზრდა ლაპარაკი იმაზე, თუ რატომ იყო „შინაგანი ბრძოლა“ ჩვენს პარტიაში, რომელიც კინაღამ სავაჭრო ფირმათ გადააქციეს, და როგორ „ქირურგიულ ოპერაციას“ ახდენდენ პარტიაში საპარლამენტო ფრაქციის რეორგანიზაციის დროს, როცა პოლიტიკურ მოღვაწეების ალაგებს პარლამენტში სპეკულიანტებზე ყიდდენ ბითუმად სუბსიდიისათვის. არც ბ-ნ ვასილ წერეთლის შესახებ გვსურს ლაპარაკი, რომელიც სულ უკანასკნელ წერილში იყო, რომ გვწერდა, „სპირიდონ კედიას ჯგუფს უთუოდ დავამარცხებ, როგორც ვიწრო ბურჟუზიულსო“.

ვიტყვით მხოლოდ იმის შესახებ, რასაც ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი გვიკიჟინებს, თითქოს დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტს და საპარლამენტო ფრაქციას ორგანიზაცია არ ყავდეს

ჩვენ განგებ არ ვქმნიდით დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიულ ორგანიზაციებს პროვინციაში, რადგან ჩვენი სურვილი იყო ჯერ საერთო კონფერენციაზე გასწორებულიყო ჩვენი იდეური და ორგანიზაციული ანგარიშები და მაშინ პარტია ან მთლად გაჰყოლოდა „საქართველოსა“ ან „კლდის“ მიმართულებას, ან და მხოლოდ მაშინ გაყოფილიყო საბოლოოდ.

ამიტომ შევეკითხეთ ჩვენ უკანასკნელად ერ. დემოკრატიულ პარტიის მეუმრავლესე მთავარ კომიტეტს, მომხრეა იგი თუ არა საერთო-კონფერენციის მოწვევის!

ახლა ჩვენი ძველი პარტიის ორგანიზაციათა, განსაკუთრებით პროვინციელთა წინაშე, სავსებით მოხდილია, ახლა თვით ურწმუნო თომანიც კი დაინახავენ, რომ „კლდეს“ კი არა, „საქართველოს“ კომიტეტს ეშინიან კონფერენციის განაჩენის!

რაც უნდა იყოს, ჩვენ დღეიდან იძულებულნი ვართ შევუდგეთ დამოუკიდებლივ კონფერენციის მოწყობას. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, როგორც აქ, თფილისში, ისე მთელს საქართველოში;

მომავალი გვაჩვენებს, თუ რა შემადგენლობის იქნება დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული ორგანიზაციები: იქნება ეს იგივე ძველი ეროვნული დემოკრატიული პარტია, თუ ჩვენს პარტიაში შემოვლენ ახალი ძალები, რომელნიც აქამდის ბლომად მოიპოვებიან პროვინციაში უპარტიოთა სახელით.

ჩვენი პროგრამა ძველია — სახელმწიფოებრივი და ზეკლასიური, მაგრამ იმდენათ, რამდენათ გაზეთ „საქართველოს“ პარტია გარკვევით ადგება პირველ ყოვლისა მხოლოდ ვაჭარ-მრეწველთ, ინტერესების დამცველ ბურჟუაზიულ გზას, რამდენათ საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს განმტკიცებასთან ერთად, პოლიტიკურ პარტიათა ძალები თან და თან უახლოვდებიან კლასობრივ ინტერებს და საპარლამენტო, საკანონმდებლო ბრძოლა იდეალისტურ, ეროვნულ ლოზუნგების მაგიერ, რეალურ, ეკონომიურ, კლასობრივ ინტერესთა გარშემო ჩაღდება; რამდენათ ყალიბდება გარკვევით სახეები თანამედროვე ცხოვრების მთავარ ძალებისა: პროლეტარულისა, ბურჟუაზიულისა და აგრარულისა, იმდენათ ჩვენ, დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატები, სოფლის მეურნეთა, მიწის მესაკუთრეთა (გლეხი იქნება იგი თუ აზნაური, სულ ერთია) ინტერესებს დავიცავთ, რადგან სოფლის მეურნე იყო, არის და იქნება ქვა-კუთხედი დამოუკიდებელი საქართველოსი.

გრიგოლ ვეშაპელი.

## საერთაშორისო კონგრესი თუ ტრიბუნალი

ამერიკის სოციალისტების ბელადმა დებსმა ამას წინად გამოსცა მოწოდება, ვილსონის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული; ეს მოწოდება შეუბრალებლად ახასიათებს ვილსონის პოლიტიკას, რომელიც ვითომ მიუდგომელი მოსამართლეს როლს თამაშობს და ნამდვილად კი ანგლო-ამერიკანულ რასის გაბატონებას აპყრობს ევროპასა, აზიასა და აფრიკაში.

დებსი აღნიშნავს იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ვაშინგტონის მთავრობა მოითხოვს თავისათვის უფლებას ჩაერიოს ევროპ-ს საქმეებში; ამერიკული პოლიტიკის მამა მთავრის, მონროეს დოკრტინის კანონით კი ევროპას ხელი არა აქვს ამერიკელთა საქმეებში.

შემდეგ დებსი ამტკიცებს, რომ ვილსონს უფლება არა აქვს იბრძოლოს გერმანულ იუნკერთა მოსასპობად, როდესაც თვით ამერიკაში იუნკრობაზე უარესი ხელმძღვანელები ჰყავს რესპუბლიკას, ფინანსისტ-კაპიტალისტების ყაჩაღური წრე, რომლის მოსამსახურეა ვილსონი და მთელი მისი მთავრობა.

დებსი ამბობს, რომ ვილსონს არაფერი უფლება არა აქვს იტრაბ ხოს პროგრესისა და ცივილიზაციისათვის რაინდობით, როცა იგი ციხეში ალპობს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს და როცა მის რესპუბლიკაში ასე ულმერთოთ სწყვეტენ ნეგრებსა და ინდოელებს.

თითქოს ამის დასამტკიცებლად, ვილსონმა დებსიც დაატუსაღა და ციხეში ჩასვა!

მართალაც ამერიკა-ინგლის საფრანგეთის კაპიტალისტთა პრეზიდენტის პოლიტიკა ის არის, რომ თავის ხელში ჩაიგდოს ძალა უფლება მთელს ევროპაში და მერმე მოიწვიოს ისეთი საერთაშორისო კონგრესი, სადაც ყველა ხალხები ხელს მოაწერენ ვილსონის ნაბრძანებ პირობებს.

ამის საწინააღმდეგო გეგმას ახორციელებენ გერმანიისა და მისი თანამოაზრე ერები. მათ უნდათ დიპლომატიური კონფერენცია კი არა, საერთაშორისო ტრიბუნალი მოაწყონ, სადაც შეიძლება, არა თუ ყველა ხალხის სხვა და სხვა პარტიათა წარმომადგენელნიც კი ღებდენ მონაწილეობას.

ცხადია, რომ ქართველი ხალხიც ასეთ საერთაშორისო ტრიბუნალისკენ უნდა ესწრაფებოდეს.

ამერიკა-ინგლისის დიპლომატიური პლანები იშლება ამას გარდა იმ ეროვნული ბრძოლით, რომელიც დაიწყო უკვე ავსტრიაში: სლავიანებმა ხელში ჩაიგდეს ის მიწები, რომლისთვისაც იტალიამ ომი დაიწყო, გალიციაში უკრაინელებმა უკვე გარეკეს პოლონელები!

ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ვილსონის პოლიტიკა იფუშება და უფრო უარესი დღე დაადგება ამ პოლიტიკას, როცა კონგრესზე ირლანდიელები და ბურები გამოცხადდებიან!

საერთაშორისო კონფერენცია ტრიბუნალათ იქცევა და ამ ტრიბუნალს მოაქვს რისხვა პატა ერების დაპყრობით გაზრდილ იმპერიებისთვის.

Artur Leist.

## ქართული ჯარის ორგანიზაციის შესახებ

(სამხედრო სამინისტროს გერმანელ მრჩევლის გრაფ ვოლფსკელის მოხსენებიდან *)

ძირითადი კანონები საქართველოს ჯარის ორგანიზაციისათვის შემუშავებულია და შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. მაგრამ პრაქტიკული განხორციელება ამ კანონებისა ძლიან კოჭლობს. ყველაზე დიდ მტრად ჯარის ორგანიზაციას დღეს დეზერტირობა მოევლინა, რომლის წინააღმდეგ მკაცრი და სასწრაფო ზომები მიღებული უნდა იქმნას. უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველ რეკრუტების მოკრეფვის მრავალმა ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა მთავრობას. ეს საქმე სულ ხელ ახლად უნდა დაეწყოთ. უმთავრესი მიზეზად დეზერტირობისა მე ვსთვლი ის შეუსაბამო იდეებს, რომელიც რევოლუციის წყალობით, გავრცელებულია ხალხში. ამ იდეებს საფუძვლად დაედო ფართე პროპაგანდა ხალხში მიმართული ჯარში დისციპლინის დამყარების წინააღმდეგ. პროპაგანდისტები ანგარიშს არ უწევდნენ, რომ დრო გამოიცვალა და რაც წინად ხალხის თავისუფლების ხელის შემწყობად ჩაითვლებოდა, დღეს იგივე ხალხი დასტოვა უიარაღო დაუცველი იმ მტრებისაგან, რომლებიც მიესიენ საქართველოს და სცდილობენ ამ თავისუფლების წართმევას.

არის ცნობები, რომ ასეთ როლში გამოდიან თვით სოფლის კომისარები, რომელნიც ფარულად მხარს უჭერენ დეზერტირობას. საჭიროა დაუყონებლივ ასეთი კომისრები დათხოვნილნი იყვნენ სამსახურიდან და სასამართლოში მიცემულნი. მათ ადგილზე უნდა დანიშნულნი იყვნენ ისეთი კომისრები, რომლებიც დაარწმუნებენ გლეხებს, რომ თუ მის სამშობლოს მუდმივი ჯარი არ ეყოლება, მაშინ მტერი გადმოლახავს ქვეყნის საზღვრებს და წაართმევს მას მამულ-დედულს. რასაკვირველია, მარტო კომისრების მუშაობა არ კმარა. საჭიროა თვით მთავრობამ, პარლამენტის, ფრაქციებთან შეთანხმებით მოაწყოს ფართე პროპაგანდა მუდმივი ჯარის ორგანიზაციის ხელის შესაწყობად. სამღვდელოებაც უნდა მოწვეულ იქმნას ამ პროპაგანდისათვის. ბროშურები, წიგნაკები, ილიუსტრაციები ჯარზე უნდა მრავლად გავრცელდეს ხალხში.

მაგრამ ამასთანავე ერთად ყურადღება უნდა მიექცეს თვით ჯარისკაცთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე: აქ უმთავრესად მოსაგვარებელი 3 საგანი ჩაითვლება — ბინა, საჭმელი, ტანთსაცმელი. ყაზარმები საქართველოში მრავლად მოიპოვება და ყაზარმების შიგნითი მოწყობილებისათვის მთავრობას მოეპოვება სხვა და სხვა ადგილას საკმაო ქონება, მაგრამ იგი იხარჯება სხვებზე და ნაკლებად ჯარების ბინებზედ. ჯარისათვის საჭმლის მიწოდების საქმეში მთავრობა ნაკლებ მზრუნველობას იჩენდა. ყოვლად შეუძლებელია, რომ ჯარისკაცმა თავის ორი გირვანქა პური დროზედ და უნაკლულოდ არ მიიღოს.

მთავრობამ წინ და წინვე უნდა დაამზადოს ჯარისათვის ბევლები პურით, რომელიც შეისყიდოს მაგარ ფასებში ან დარეკვიზიციას მიმართოს. რომ პურის შოვნა ადვილია, ეს დაამტკიცა სახალხო გვარდიამ, რომელსაც ეს საგანი არასოდეს არ აკლდა. ხორცი, მწვანილი, ლობიო საქართველოში იმდენია, რომ ბევრჯელ გაუწევს მას პურის მაგიერობას, გინდ მაშინაც თუ, რომ მომატებულად ეძლიოს იგი. არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ცხენებს. ამ მხრივ უნდა აღვნიშნო, რომ აქაც თუ გვარდიის ცხენებს ფურაჟი ყოველთვის საკმაო აქვთ, ჯარის ცხენებს-კი არასოდეს და არაფერი.., ამაშიაც საჭიროა დიდი მზრუნველობა და დამზადება თივა,-ქერისა წინდაწინვე და სამყოფად. მესამე საყურადღებო საგნად ჩაითვლება კაი ტანთსაცმელში ჯარის გამოწყობა, ყოველ კაცს უხარიან როცა იგი კოხტად არის ჩაცმული და ამაყად გამოიყურება. ნამეტნავად სიკოხტავე საჭიროა ჯარისათვის. კაი სამხედრო ფორმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჯარისათვის, რადგანაც იგი აერთიანებს მის სამხედრო წრეს. მეტად მნიშვნელოვანი გარობა, რომელიც ჯარისკაცს აძლევს შეძლებას უყოყმანოდ, უსაყვედუროთ თავისი მძიმე სამხედრო უღელი ზიდოს, არის ის პირობა, რომ მას ყოველთვის მოექცნენ პატივისცემით, ნდობით და რომ არ იყვნენ მათგვარი წრეები, რომელთაც უფრო ყურადღებით, ექცევიან ვიდრე მას. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჯარს არამთუ უვლიდნენ, არამედ სწუნობდენ. სახალხო გვარდიას მეტყურადღებას აქცევდნენ და ჯარი დარჩილული იყო სამწუხაროდ. მთავრობამ ჯერ არაფრიდ დაამტკიცა, რომ მას მართლაც ჯარის ორგანიზაციის მოწყობა ნამდვილათ სურს. ჯარს უყურებენ დღესაც როგორც გერს. სახალხო გვარდიას სძინავს რბილ ლებებზე, ჯარისკაცს კი შიშველა ფიცრებზე. გვარდია კარგათ ჩაცმული, კარგ ფეხსაცმელში — ჯარი დადის უწაღო დაფლეთილ ტანთსაცმელით გვარდიელი კარგათ სჭამს, ჯარისკაცი ნახევრად მშიერია გვარდიესათვის ყოველთვის არის ფული, რომლის შემწეობით იგი ყიდულობს პურს და სანოვაგეს სოფლებში და „გრუზოვიკებით“ მოაქვს თბილისში, ჯარის საინტენდანტოს კი ეს არ შეუძლიანო, რადგან მას არა აქვს ფული პურის საყიდვისათვის და არა აქვს ბენზინი მის მოტანისათვის.

დღემდის ვერ მოხერხდა რომ ოფიცრებს დროზედ ჯამაგირები დაურიგდეს, გვარდიაში ასეთი მაგალითები არ ყოფილა. ყველა ამას უნდა დაუმატო მთავრობის წევრების სიტყვები, მაგალითად სიტყვა ბ-ნ ნ. ჟორდანიასი სახალხო სახლში წარმოსთქმული, რომ ჯარი ჩვენი რესპუბლიკისათვის სახიფათო ორგანიზაციაო;-—და მაშინ გასაკვირველი არ არის რომ ოფიცრები უიმედო, უენერგიო უხალისოდ მუშაობენ ჯარში. ან და როგორ უნდა იმუშავოს თუ მას რწმენა საქმიანობისა არა აქვს.

ეს უნდა მოისპოს, ჯარის საქმის გაუმჯობესობა მაშინ შეიძლება, თუ სახალხო გვარდია გადავა სამხედრო მინისტრის განკარგულებაში, და ყველაფერს მიიღებს იქიდამ, მარტო იქიდამ! რასაკვირველია, მაშინ სამხედრო მინისტრის განკარგულებაში უნდა გადავიდეს მთელი ის ქონება, ფული და სურსათი, რომელიც დღეს სახალხო გვარდიის ხელშია. ჯარი და გვარდია ყველაფერში უნდა გათანასწორებულნი იყვნენ, გარდა ჯამაგირებისა, რომელიც შეიძლება გვარდიელს ცოტა მეტი ეძლიოს. და თუ დააკლდებათ ფული ან პური ორივეს ერთად ჯარს და გვარდიას უნდა დააკლდეს და არა მარტო ჯარს. და ის უფრო შეეფერება დემოკრატიულ ქვეყნის წესს, რომ გვარდია, როგორც სამხედრო ძალა, თანასწორად შედიოდეს ქვეყნის დამცველად სამხედრო ძალთა რიგში და არ იყოს განსაკუთრებულად პრეტორიანულ რაზმად მინისტრ-პრეზიდენტის ხელში, რომლის დაწესებულება ჯერ უნახავია ქვეყანაზედ და გამოხატავს უკიდურეს ავტოკრატიულ მართველობას. საქართველოს მდგომარეობა მეტად სერიოზულია. იგი აღარ საჭიროებს სიტყვებს არამედ მოქმედებას. სიტყვები საკმაოდ თქმულა. თუ საქართველოს სურს დამოუკიდებელ ქვეყნად დარჩენა, მას ესაჭიროება ჯარი. ჯარი კი მაშინ შეიქნება, როცა საქართველო დაარწმუნებს თავის შვილებს შეასრულონ თავის მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

9 ოკტომბერი 1918 წ.

* წაკითხული იყო 9 ოკტმბერს 1918 წ. პარლამენტის სამხედრო კომისიაში. მოყვანილია შემოკლებით.



ვილსონის სიზმარი.

## საკვირაო მიმოხილვა

### ევგენი გეგეჭკორის პოლიტიკა.

ბ-ნი ე. გეგეჭკორი საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა აკ. ჩხენკელის მაგიერ.

არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ ორი ამბავი დამახასიათებელი იმისა, თუ როგორი [illegible]ლებისაა საგარეო პოლიტიკა ბ-ნ გეგეჭკორისა.

ერთი ის არის, რაც თავის დროზედ გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელმა პრ. ცუგმაიერმა უამბო თფილისის პრესის წარმომადგენელთ: თუ გერმანიის მთავრობა ფიქრობდა ერთ დროს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის აღდგენას, ეს იმიტომ, რომ ასეთ შეხედულობას ბადებდა ბერლინში დელეგატად მყოფი ბ-ნი გეგეჭკორიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ის, რაც ამას წინად ბ-ნ ნიკო თავდგირიძეს ჰქონდა მოთხრობილი გაზ. „საქართველოში“, როცა ბ-ნი გეგეჭკორი ეკატერინოდარში იყო წასული ალექსეევთან მოსალაპარაკებლად:

„რწმუნებულთ შორის, სწერდა ბ-ნი ნ. თავდგირიძე, ნუ თუ არ შეიძლებოდა წასულიყო ერთი მაინც არა რუსულ ორიენტაციის მომხრე წევრი? როცა რაიმე საქმეს იცავ, თვით უნდა იყო დარწმუნებული იმ საქმის სამართლიანობაში., ჩვენმა საგანგებო რწმუნებულმა ევგენი გეგეჭკორმა მე თვითონ მითხრა: ,,რას ვეჩრებით ჩვენ ტუაპსესა და სოჭში, როცა სამეგრელო ვერ დაგვიმშვიდებია‘‘ო.

## გერმანელები საქართველოს შესახებ.

ადგილობრივი გერმანული გაზეთი ,,კაუკაზიშე პოსტი‘‘ შემდეგსა სწერს:

,,ის პატივისცემა, რომელიც ქართველ ხალხისაგან წილად ხვდა მიმავალ გერმანელ ჯარს, არის საუკეთესო მსჯავრი მათი საქართველოში ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედებისა, როგორც ამას ყველა მიმართულების ქართული პრესაც აღნიშნავს.

მთელი პრესა ერთნაირად აღნიშნავს იმ ნამდვილ მეგობრობას, რომელიც შეიკრა ერთ დროს გაჭირვებულ საქართველოსა და მის დამხსნელ გერმანიას შორის. სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში ორივე მხრის გულწრფელმა პირდაპირობამ მოამწიფა. მათში რაინდული განწყობილება, რომელიც იმედია შემდეგშიაც დარჩება, რაც უნდა მოხდეს. ჭეშმარიტი მეგობარი გაჭირვებაში იცნობაო!‘‘

## სომხები და ეროვნულ-დემოკრატები.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის გაყოფის გამო სომხური გაზეთი ,,ჟოღოვურდი ძაინ‘ სწერს: ,,ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ ქართველ არასოციალისტურ წრეებიდან გამოვა რაიმე ლიბერალური, პრაქტიკული და ეროვნული, ხოლო არა შოვინისტური პარტია...

..ჩვენ დარწმუნებული ვართ, რასაკვირველია, ადრე თუ გვიან ესეთი ორგანიზაცია უნდა გაჩნდეს სინამდვილეში ამის თავდებია სწორედ ის განხეთქილება, რომელმაც თავი იჩინა ქართულ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომლიდანაც გავიდნენ უკიდურესი შოვინისტი და აგრესიული მოღვაწეები: ბ.ბ. ვეშაპელი, გაბაშვილი და სხვანი. ჩვენ მოსურნე ვართ, ეს პარტია საბოლოოდ გაიწმინდოს უპასუხისმგებლო აგრესიულ ელემენტებისაგან, რომელთაც ჯერ ბევრი რამ უნდა ისწავლონ ქართველ სოციალ-დემოკრატიისაგან, რომელნიც ხანდახან უკეთესი პრაქტიკოსია, ვიდრე არა-სოციალისტი, ქართველი ნაციონალისტებიო‘‘.

ვერ მოვულოცავთ ,,საქართველოელ‘‘ ეროვნულ დემოკრატებს სომეხ ვაჭართა ქათინაურებს; ნათქვამია: ცუდია იგი ვეზირი, რომელსაც აქებს მტერიო!

## ბაგრატიონ-დავითაშვილების და სხვათა საქმე.

მთავრობის გაზეთი ,,ს. რესპუბლიკა‘‘ იტყობინება: შინაგან საქმეთა მინისტრმა მოისმინა რა საქმე სატუსაღოში მოთავსებულთა გ. და დ. ბაგრატიონ-დავითაშვილებ-ს და სხვათა, დაადგინა: ,,1) გიორგი და დავით ბაგრატიონ-დავითაშვილები გაძევებულ იქმნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ადერბეიჯანში უვადოთ; 2) გრიგოლ იოსების-ძე ჯავახიშვილს, იოსებ თადეოზის ძეს ამირეჯიბს და იოსებ თარხნიშვილს მილიციის ზედამხედველობის ქვეშ დატოვება ქ. ტფილისში, პირველი 2 წლის ვადით, მეორე—1 წლის და მესამე 3 წლის ვადით და ამ დროს განმავლობაში მათ ალეკრძალოთ გორის მაზრაში ჩასვლა და თფილისიდან გასვლა; 3) რომან ბეგთაბეგოვი სრულიად განთავისუფლებულ იქმნას‘‘.

ასე დასრულდა სახელ განთქმულ კაჩუხაშვილის მიერ პროვოკაციულად შეთხული საქმე ვითომც და ,,შავი რაზმის შედგენისა‘‘.

არავითარი საბრალდებულო საბუთი ამისათვის სამინისტროს არ მოეპოვებოდა და ამიტომაც იგი იძულებული გახდა ადმინისტრატიულად დაესაჯა ისინი, ვისიც მიცემა სამართალში შეუძლებელი იყო.

საინტერესოა, სხვათა შორის, ადერბეიჯანში გადასახლების პრეცენდენტი; აქამდის საქართველოს რესპუბლიკას თავისი ციმბირი არ მოეპოვებოდა... ახლა ადერბეიჯანის მთავრობას ხომ არ დაუდია ჩვენთან ხელშეკრულობა, რომლის ძალით საქართველოს შეუძლია ადერბეიჯანში ასახლოს ქართველი ჭკვიშევრდომნი.

## კაჩუხოვის ბედი.

ივ კაჩუხა[illegible] მექრთამოებისათვის სამსახურიდან დაითხოვეს [illegible] კაჩუხაშვილი ცნობილი იყო ამ საქმეებით მილიციის უფროსობის და ქუთაისის გუბერნატორობის დროსაც, მაგრამ შემდეგ ყოველთვის მაღალ ალაგს აძლევდნენ... დასასჯელად, ალბად და ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელიარიის დირექტორობა მიიღო; აქაც თავი ისახელა, სხვათა შორის გენერალ მაზნიაშვილის ბინის გაჩხრეკით, ბაგრატიონ-დავითაშვილების საქმის შეთხზვით და სხ ..საინტერესოა, ამას იქით რა მაღალ ალაგს უმზადებენ ბ ნ კაჩუხაშვილს მისი პროტექტორები.

## მიწის საკითხი გერმანიაში.

### (შინაგანი კოლონიზაცია).

მას მერმე, რაც მარქსის პრინციპის სიკიტრე სოფლის მეურნეობაში დამტკიცდა და არამც თუ კონცენტრაცია დიდი მამულებისა, არამედ ხდება მათი დანაწილება წვრილ მემამულეთა შორის; განსაკათრებით მის შემდეგ, რაც ამერიკიდან იაფი ხორბალი შემოვიდა და დიდმა მემამულეებმა ამ კონკურენციას ვერ გაუძლეს და მათი ადგილები დავალიანდა,— ევროპაში ამის გამო დიდ საგონებელში ჩავარდნენ და იწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოაწყონ მიწის საკითხი ისე, რომ მათ შეძლებოდათ არგენტინიდან შემოტანილ ხორბლისთვის კონკურენცია გაეწიათ. ევროპაში მართლაც ჰპოვეს გამოსავალი გზა, რომელიც მდგომარეობდა დიდ მამულების დანაწილებაში წვრილ მემამულეთა შორის. მარტო ამ წვრილ მესაკუთრეებს შეეძლოთ ამერიკისთვის კონკურენცია გაეწიათ იმიტომ, რომ მათ უფრო მეტი სარგებლობა და ნაკლები ხარჯი ჰქონდათ, ვიდრე დიდ მემამულეებს. ამ პლანის სისრულეში მოსაყვანათ ევროპაში მოეწყო საგანგებო საზოგადოებები მთავრობის დახმარებით, რომელთაც მიზნათ აქვთ შეისყიდონ დიდი მამულები, დაანაწილონ ისინი პატარა ნაწილებათ და ჩაასახლონ უმიწაწყლო გლეხები. ასეთს შინაგან კოლონიზაციას მე პირადათ, გავეცანი გერმანიაში და მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ მის შესახებ. საშინაო კოლონიზაცია სწარმოებს გერმანიაში ბევრ ადგილას, მაგრამ მე განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს ბრანდენბურგის პროვინცია და იქ ოდერის ფრანკფურტში დაარსებული საადგილ-მამულო საზოგადოება ,,საკუთარი ოჯახი‘‘.

ეს საზოგადოება დაარსებულა 1900 წელში და მიზნათ აქვს დიდ მემამულეთაგან მიწები შეისყიდოს, შიგ ჩაასახლოს წვრილი კერძო მესაკუთრე გლეხები და ასე შეჰქმნას ახალი სოფლები; ამასთანავე ეს საზოგადოება ზრუნავს ძველი პატარა სოფლებიც გააფართოვოს. ამ საზოგადოების გეგმაში შედის ისიც, რომ დიდ ქალაქთ მახლობლათ შეჰქმნან კოლონიები, მუშებისთვის, წვრილ მოხელეთათვის, პატარა ხელოსანთათვის, საზოგადოთ ღარიბ ხალხისთვის, რომელსაც არ შეუძლია იქირაოს კარგი სადგომები ქალაქებში და იხჩვება პატარა ოთახებში უსახსრობის გამო. სწორეთ ასეთებს საშუალებას აძლევს საზოგადოება, იქონიონ თავისი საკუთარი სახლი ქალაქს გარეთ, კარგ ჰაერზედ, უფრო იაფათ, მინამ ის, რასაც ქალაქის დახშულ ბინაში იხდიან. საზოგადოებას აქვს $8^1/_2$ მილიონი მარკა. ამ კაპიტალის მონაწილენი არიან თვით სახელმწიფო, ბრანდენბურგის ქალაქები, ერობა და კერძო პირები. საზოგადოების წევრების მოგება ის არის, რომ იღებენ თავის კაპიტალისთვის 5 პროცენტს. წევრთა რიცხვი ამ საზოგადოების არის 300; საზოგადოება იმყოფება სახელმწიფოს კონტროლს ქვეშ.

საზოგადოებას უკვე ნაყიდი აქვს 29 დიდი მამული და 18 სამოსახლო მუშათა წვრილ ხელოსანთა და მოხელეთა ჩასასახლებლათ. ამ საზოგადოებას უკვე დაუსახლებია 800 ოჯახი. საზოგადოებას აქვს კიდევ რამდენიმე ათასი დესეტინა თავისუფალი მიწის ფონდი.

ამ ადგილ-მამულს იძენენ, როგორც სრულ საკუთრებას. ადგილების ყიდვა შეიძლება სხვა და სხვა სივრცის. ქალაქის მახლობელ მიწის მყიდველთათვის არის დადებული მინიმუმი $^1/_2$ მორგენი (მეოთხედი დესეტინა).

ეს საზოგადოება აძლევს კოლონისტებს, როგორც დასახლებისას, აგრეთვე მერმე, ყოველგვარ შემწეობას; ის უშენებს მას სრულიად უფასოთ მშვენიერ შკოლას, უფასო სწავლით, და ეკლესიას; მეურნეობის კარგი მცოდნე მასწავლებელი აძლევს უფასოთ დარიგებას და რჩევას მიწის მოვლისა და უფრო სარგებლიან დამუშავებისთვის, ასწავლის ხილისა და საქონლის გაშენებას ეს მასწავლებელივე უწყობს მათ გამყიდველ კოოპერატიულ საზოგადოებას; მიწების მყიდველთ აქვთ შემდეგი უპირატესობანი: 1) მყიდველს ყიდვის დროს არა აქვს არავითარი ხარჯები. ყოველნაირ ხარჯებს, სალერო გადასახადსაც კი, საზოგადოება იღებს თავის თავზე. 2) მყიდველი მოვალეა, მხოლოდ $^1/_8$ ადგილის ღირებულება გადაიხადოს მაშინ, როცა მას სახლსა და სხვა შენობას, რომელიც მეურნეს სჭირიან, აუგებენ და მას შიგ დაასახლებენ. დანარჩენ მიწის სასყიდელ ფულს $^3/_4$ ან და $^9/_{10}$ ღირებულებისას იღებს სახელმწიფო თავის თავზე, როგორც საადგილ-მამულო „რენტენ ბანკის“ რენტას, რისთვისაც ბანკი იღებს $4^1/_2$% აქედგან კი $^1/_2$% ვალის გასასტუმრებლათ ითვლება, ისე რომ მყიდველს, $56^1/_2$ წელიწადში რენტა გადახდილი აქვს და მისი მიწა ვალებისგან თავისუფალია. დანარჩენ სასყიდელ ფულს აძლევს მიწის საზოგადოება „საკუთარი ოჯახი“, როგორც ჰიპოტეკას აგრეთვე მცირე პროცენტებში. რამოდენიმე წლის მერმე ეს რენტაც სახელმწიფოს გადააქვს „რენტენ ბანკზედ“.

მყიდველს შეუძლიან სახლი საზოგადოებიდან მიცემულ მამულზედ თვითვეააშენოს; ამ შემთხვევაში მას ეძლევა ყოველნაირი საჭირო მასალა და ამასთანავე იმ ფასებში, როგორც უზის თვით საზოგადოებას; მყიდველს ამ შემთხვევაში ეძლევა ფულით დახმარებაც; უსასყიდლოთვე ეძლევა არხიტექტორი და სახლის პლანი.

თუ კი მყიდველი მოისურვებს, მას სახლსა, თავლას და ბეღლებს უკანასკნელ ტეხნიკით მოწყობილს თვით საზოგადოება აუშენებს. ისე, რომ მყიდველს ამ სახლში დაბინავების მეტი არა უნდა რა.

ყოველ მყიდველს დასახლებისთანავე ეძლევა უსასყიდლოთ: თესლი, საჭირო სანოვაგე მოსავალ ქირნახულამდის, და ნაკელი მიწის დასანოყიერებლათ. თუ მყიდველს პირველ წელში არ სურს არავითარ რენტის გადახდა, მას ნება ეძლევა პირველი წლის რენტა, ნაწილ ნაწილობით დანარჩენ წლებში შეუმჩნევლათ გადაიხადოს.

ადამიანმა თვით უნდა ნახოს როგორ საუცხოვოთ ცხოვრობენ ეს კოლონისტები. მათ ოჯახში რომ შეხვალთ, გეგონებათ, ვინმე მდიდარ ბურჟუას სახლში შეხვედით. მინიმუმის მქონ გლეხს (ე. ი. $^1/_2$ მორგენ მიწის) უდგას მშვენიერი ცემენტის ორ სართულიანთ სახლი, მშვენიერათ მოწყობილი ჭერით და საოდათით. იქვე ეზოში სდგას ბოსელი (ნეტავ ისეთი ბოსლები ჩვენ შეძლებულ გლეხებს სადგომათ ჰქონდეთ). ბეღლები და სხვა. შიგ სახლში რომ შეხვალთ, პირდაპირ განცვიფრდებით: უმეტესად გლეხებს პიანინო აქვთ და ,,რბილი‘‘ ავეჯეულება, ბუფეტის შკაფი ხომ უღარიბეს გლეხსაც კი აქვს; ყოველ სახლს აკრავს მშვენიერი ბაღი და ბოსტანი; სახლს წინ ჩაუვლის მშვენიერი ფართო [illegible]. თვით სოფელი კოლონისტების [illegible] არიან შეერთებული; დიდ მამულის დაყოფის დროს მეურნე მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს მიწის ნოყიერებას და მის მდგომარეობას, ამისდა გვარათ ახდენს ის მიწების დანაწილებას; თუ ერთი ნაწილი მიწისა პურის მოსაყვანათ კარგია, მეორე ნაწილი სათიბისა თვითონ უფრო მოსაგებია. ზოგ დანაწილებულ ადგილებში ტყეებსაც კი აშენებენ ახლათ; აგრეთვე აწყობენ აუზებს თევზის მოსაშენებლად.

ასეთნაირად მიწის რეფორმის გაყვანა ჩვენში გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, მინამ გერმანიაში, ვინაიდან ჩვენში პირობები უფრო ადვილია და ამასთანავე ჩვენ არ გვიხდება ბუნებასთან ისეთი სასტიკი ბრძოლა, როგორც ეს უხდება გერმანელს მის ცარიელ სილიან მიწაზედ.

ჩვენმა ხალხმა ასეთნაირ მეცნიერულ და პრაქტიკულ რეფორმას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს და ისარგებლოს განათლებულ სახელმწიფოების მაგალითით.

**რ. ნიჟარაძე.**

## მუშათა საბჭოს სხდომის გამო

### (ირ. წერეთლისა და ე. გეგეჭკორის მოხსენებანი)

წარსულ კვირის შაბათს სახალხო სახლში გ იხსნა თფილისის მუშათა საბჭოს კრება ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით და ირ. წერეთლისა და ე. გეგეჭკორის მოხსენებით. თავის წინასიტყვაობაში ბ-მა ჟორდანიამ დაასურათა მუშათა საბჭოს სხდომის მიზანი და ბოლოს დასძინა: „ბევრი ჩვენი მტრები ფიქრობდენ, რომ საბჭო მოკვდა, მაგრამ არა, ის იცოცხლებს იმ დრომდი, სანამ არ დაასრულებს თავის მიერ დაწყებულ საქმესო. მან უნდა იცოცხლოს და კონტროლი გაუწიოს მთავრობის მოქმედებასო“.

ძლიერ გაკვირვებული დავრჩი: რაღა უნდა დაასრულონ ჩვენში მუშათა საბჭოებმა, ვერ გამიგია, რაში დარჩენ გულ ნაკლულნი? აბა მოვიგონოთ: რვა საათის სამუშაო დღე ხომ არის. ტყიბულისთანა მოთხოვნილებებით ყოველივე მრეწველობა ხომ განადგურებულია? მიწის დეკრეტები ხომ განხორციელდა? მიწის მესაკუთრეთა მეურნეობა ხომ გაპარტახდა? ოცდა ათი მილიონის ფონდი ხომ მიითვისეს თავის სასარგებლოთ, თუმცა ბოლოს ეს ვალი საქართველოს ხაზინას მოეკითხება? სახელმწიფო ხაზინიდან ძალით ფულის გატანასაც ხომ არ დააკლეს ხელი? (გაიხსენეთ ნინიძე „გორელის“ განცხადება პარლამენტში), კიდევ სხვა რომლის ჩამოთვლას შეუდგეთ? მგონი, ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, ვსთქვათ მუშათა საბჭოებს აღარაფერი დარჩენია გასაკეთებელი ჩვენში გარდა, იმისა რომ პირდაპირ ბოლშევიკური დიქტატურა გამოაცხადონ და საბჭოები მთავრობად გახადონ!.

შეიძლება ავსტრიის ამბებმა და ლენინის ნაადრევმა ხითხითმა იქონია გავლენა ჩვენს მენშევიკებზე!

## სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

**რიხტერის კრიტიკა**

თავი X.

### ახალი ფული.

ფოტოგრაფებს ბევრი სამუშაო გაუჩნდათ. ყველას, 21 წლიდან 65 წლამდე, ერთი სიტყვით ყველა მათ, რომელნიც სახელმწიფოს თავშესაფრებში არ იმყოფებიან, ნაბრძანები აქვთ თავიანთი სურათი გადაიღონ. ეს საჭიროა ახალი ფულის ასსიგნოვკებისათვის, რომელიც ახლანდელ ფულისა და საკრედიტო ბილეთების ნაცვლად იქნება შემოღებული.

მთავრობის გაზეთი სწერს, ძალიან გონივრულათ და პრაქტიკულის მხრით მოხერხებულათ გამოიგონა ჩვენმა სახელმწიფო ხაზინის მდივანმა ფულის ხმარების ისეთი საშუალება, რომელიც თავის დანიშნულებასაც შეასრულებს და ამასთანავე სრულიად სპობს კაპიტალისტთა კლასსის აღორძინებას. ახალ ფულს, ოქრო-ვერცხლივით თავის-თავად არაფერი ღირებულობა არა აქვს, არის მხოლოდ ასსიგნოვკა სახელმწიფოსი, როგორც გასასყიდ საგანთა ერთად-ერთის პატრონისა.

ყოველი მუშა, სახელმწიფოს სამსახურში მყოფი, ყოველ ორ კვირაში ერთხელ მიიღებს სახელობითი მოწმობას პატრონის სურათით, ისე როგორც უწინ იყო ხოლმე ქალაქის რკინის გზის აბონემენტებზე დაკრული სურათები; ეს იმიტომ, რომ სხვისთვის გადაცემა არ შეეძლოთ. მართალია, ყველასთვის საერთო სამუშაო დრო, ერთგვარ ხელფასით ხელს უშლის სოციალურ უთანასწორობის წარმოშობას ნიჭის სხვადასხვაობისა და ნიჭით სარგებლობის გამო. მაგრამ ამას გარდა საჭიროა, როგორც წარმოების დროს, აცილებულ იქნას

## ძველი ტფილისი

### და საიათნოვა

ერევნის მოედანს რომ გასცდებით, უნდა ჩაიაროთ შუაბაზრისაკენ. აქ, შუაბაზარში მარჯვნივ პირველად შევხვდებით სომხების ეკლესია: „ჯიგრაშენი“. სწორედ ამ ეკლესიაში მსახურებდა მღვდელი საიათნოვას შვილი შვილი ტერ-სრაპიონი, რომელმაც საიათნოვას „სიმღერების დავთარი“ მოზდოკიდან ტფილისს ჩამოიტანა! „ჯიგრაშენი“ სომხური სიტყვაა და ნიშნავს: „ჯიბრით ნაშენს“ (ჯიგრუშინაწ). ეს ეკლესია აგებულია 1785 წელს, მაშასადამე, არც ისეთი ძველი ყოფილა.

შემდგომ ჩავალთ და გაჩერდებით კუთხეში. აქ თქვენ შეყოყმანდებით მგზავრობაზე. ამ გზა-ჯვარედინიდან მარცხნივ მოსჩანს ვიწრო ქუჩა ოქრომჭედლებისა. ქუჩა ვიწროა. აქ ოქრომჭედლებს გარდა შეხვდებით: ზეინკლებს, ხარატებს, მჭედლებს, ხაბაზებს, ვარსიმებს (დალაქებს) და სხ. აქეთ სახლები დაბალბანიანებია. ეს სახლები ათადან-ბაბადან სულ ასე სდგას. „სახლებს მხოლოდ მაშინ შეაკეთებენ, ან თუ თავზე ჩამოექცევათ, ან კიდევ თუ ცეცხლი იმსხვერპლებს, ამ მხრივ დაუდევარი ხალხი სცხოვრობს აქ“.

ამ გზა-ჯვარედინს რომ თავს დააწევთ, ქვეით ჩასავალია პატარა ქუჩით: დღეს ამ ქუჩის მოედანს ჰქვიან „ყოფილი ეგზარხოსის მოედანი, წინად კი აქ, სადაც ეხლა ბაღია ხალაყბო იყო, ანუ „ცოცხალი გაზეთი“, ხოლო სადაც ეხლა კათალიკოსის სადგომია, წინად ამ ალაგას სასახლე იყო ერეკლე მეფისა: აი, ეხლა თქვენ რომ სდგეხართ, მაგ ადგილას ვინ იცის რამდენჯერ უნავარდნია საიათნოვას! ვინ იცის!

პლატონ იოსელიანის სიტყვით „მეფის სასახლე იყო უმშვენიერესი ადგილი.“ აქ ყოფილა ფულის საჭრელი მანქანები, ყაუმხანა, ზარადხანა, ქსენონი და სამუსიკო იარაღთა სახლი (ალბად საიათნოვას ქამანჩაც აქ ეკიდა!). „სასახლის წინ მოედნის შუაში ამოყვანილი იყო შადრევანი მარმარილოს ქვით, წყალი მოტანილი იყო მილით წავკისის მთებიდან. წყალი ამოჩუხჩუხებდა მარმარილოსაგან გაკეთებულ ორი ლომის პირით და იმით მოირწყოდა სასახლის ბაღები. თვით ბაღებში, არა დიდს შენობაში, იყო აბანო გოგირდიანის წყლისა. ამ აბანოს წყალი მოდიოდა უმთავრეს ბაზარზედ და სიონის ქუჩაზე, თიხის მილებით ტფილისის მინერალურ წყლების საგროვებელიდან.

აქ აწერილი სასახლე ის სასახლეა, რომელშიაც დიდის დიდებით შემოვიდა აღამაჰმადხანი, დიდათ მოეწონა და, მისის სიმშვენიერით გაკვირვებულმა, დაიძახა: „სპარსეთის ხელმწიფე ვარ და ამისთანა სასახლე მეც არა მაქვსო!“

მეფის დიდ სასახლის გადასწვრივ იყო (და დღესაც არის) პატარა ეკლესია წმ. გიორგისა, „სამეფო კარის ეკლესიად“ წოდებული, რომელსაც ხალხი თვისებურად და უკომენტარიოდ: „პატარა წმინდა გიორგის“ ეძახის! ამ ეკლესიის გვერდით იყო რომ 1803 წ. აპრილის 19-ს მარიამ დედოფალმა (გიორგი XIII-ის მეუღლემ) თავის სასახლეში მოჰკლა გენერალი ლაზარევი, როცა ეს უკანასკნელი ძალით აპირებდა მას რუსეთში გადასახლებას.

ესეც ასე. აქედან მარჯვნივ მოუხვევთ და გახვალთ სიონთან. სიონი! ო, ბევრის მომსწრეა ეს სიონი. 1226 წელს მაისის 9-ს შემოვიდა ტფილისში ჯალალედინი, გაჟლიტა 100.000-მდე ქრისტიანე ერი. დალეწა შენობანი, ჩამოაგდო სიონის გუმბათი, ზედ ტახტი დასდგა და იქიდან უყურებდა ქალაქის ქუჩაშუკებში რუებრ მომდინარე სისხლის ნაკადულებს; სიონის ღვთისმშობლის ხატი პირამა დააგდო ავლაბრის ხიდზედ და რომელი ქრისტიანიც არ დააფურთხებდა და ფეხით არ გასთელავდა, მას თავს აგდებინებდა და მტკვარში ჰყრიდა.“

სიონს რომ გასცდებით, ორი გზა არის სურფგეორქის ეკლესიისკენ წასასვლელი; ერთი რომ ლით თუ მოიაურვებთ გამგზავრებას, მაშინ აივლით „პატარა სირაჩხანის“ აღმართს (დიდი სირაჩხანა ავლაბრის ყელ ან არის), აქ სირაჯების გარდა არიან: ყაზაზები, ფლოსტების ხელოსნები, ქალამნის მომსხმელები (მეხამლეები) და სხ. მოდი ეტლს თავი დავანებოთ, ასეთ მგზავრობის დროს ყოველთვის ფეხით სჯობია სიარული.

ფეხით უნდა გაიაროთ დახურულ ბაზაზხანაში. ეხლა ეს ბაზაზხანა ლომფინ-აყრილია, აღარ არის დახურული! წინად კი აქ იყვნენ მხოლოდ ბაზაზები: (ფართლეულობით მოვაჭრენი) და იყიდებოდა როგორც მაშრიყული, ისე მაღრიბული საქონელი. დუქნები ფარდალალა იყო და არც შუშაბანდი [витрина] ჰქონდა. დაკეტვის დროს დარაბებს აუგდებდნენ ხოლმე. ყოველ დუქანს სდარაჯობდა **ასასი** (კერკეტონი—обходъ).

ამ ფუნდუკს (ქარვასლას) რომ მოჩრჩებით, თვალწინ გადაგეშლებათ ფართე ადგილი, რომელსაც „თათრის მოედანი“ ეწოდება. აქ შეჰხვდებით მრავალ თრინჯულ ხალხს. აქაც დუქნებია: ალაფებისა, დერციკებისა, ჭონებისა, მიკიტნებისა, მეთევზეებისა. აქვეა ექიმბაშების აფთიაქხანა, სადაც იყიდება: ჰინა, მურდასანგი, ბასმა, ინდუსყაირი, ხაშხაში, თიახფარუხი, დარიჩინი, ზარიშკი, ჯავზი, ყარამფილა და იახსთვის თუ დეკოხტისთვის შესამზადებელი სხვადასხვა სანელებელი მცენარეულობა.

აქვე არიან ხელზე მოვაჭრე კინტოები: რომელითაც თავზედ თასკით უჭირავთ უხელოთ წითელი თაბახი ხილეულით დატვირთული; აქ სოლინარიდან წყალს ავსებენ თულუხებს, აქ ყოველ დილით ურმებით მოდის ყაზახ-ბორჩალოდან სურსათ-სანოვაგე. ტაბახმელიდან სახედრებით მოაქვთ გუდურა, ფიჩხი, შეშანახშირი და სხ. ნახშირთან სდგანან პატარა ბიჭები, რომელთაც მეტსახელად „გროშუას“ უწოდებენ, ალბად იმიტომ, რომ მყიდველმა ერთი ორიოდე გროში აჩუქოს და სახლში წაალებინოს. საპალნეს ეს გროშუა დასცლის და ვირს და ტომრის ცალებს ისევე პატრონს უბრუნებს. აქვე არიან ფალნიაინ რაჭველი მუშები, აქვე სდგას მიკიტნის ბიჭი და ბოზბაშს ქაფსა ხდის. ნაპირა ვაჭრების წინ კი სდგას გალევებული მაყალი, რომელზედაც შიშინებს მცვრიანი შიშლიგი (შიშლიგი საბას განმარტებით: „მეცხვარეთა საკლავი“).

ერთი სიტყვით ამ ადგილას ნამდვილი სიცოცხლეა, ზიმზიმი, დვანდგარი, ჩოჩქოლი და ამ ღრიანცელთან ერთად ხშირად რომელიმე ,,ქალაქელ ბერანესაგან‘‘ გამოთქმული ლექსებიც კი მოისმის დუდუკზე.

ამ მოედანს აკრავს შეითანბაზარი, რომლის დასაწყისსაც ვორონცოვის ქუჩა ეწოდება დღეს. ამბობენ: ეს ქუჩა ვორონცოვმა გაიყვანა და ამიტომაც ეწოდა მისი სახელიო! წინად ამ ქუჩებზე მაღნარი ყოფილა უტეხარი და, სათათრეთში თუ სასომხეთში მიმავალნი (სოვდაგრის ქარავნები თუ ისე ხალხი) ხარფუხის აღმართზე უნდა ასულიყვნენ და მერე დაადგებოდნენ ხოლმე სოღალუხის გზას. ამას ხომ საბაჟოც მოწმობს: ,,старая таможня‘‘.

საინტერესოა აგრეთვე აქაური მიზგითი (მეჩეთი), მისი მინარეთი, მოლის „აზანი“, მეტეხი, შუშანიკი, ავლაბრის ხიდი, აბოს ეკლესია, ბაყალხანა, შემდეგ აბანოები, რომელნიც მოგზაურ ტურნეფორის (1701 წ.) სიტყვით ძველად „ერთადერთ გასართობს წარმოადგენდნენ თურმე მოქალაქეთათვის“, მერე სეიდაბათის სასახლე, (სადაც ეხლა ბოტანიკური ბაღია), ნარიყალის ციხე და სხვ. მაგრამ...

მაგრამ, აქ კი უნდა ავაშაბაშოთ. ვინაიდგან, პირობისამებრ დაუახლოვდით სურფ გეორქის ეკლესიას და ჩვენს რეზიდენციასაც უკვე მივაღწიეთ! და რო მკითხველი დილხორში ჩავაგდოთ, მოდი ამათი აღწერა სხვა დროისთვის იყოს!. ჰო-და, აი, ამ **თათრის მოედნის** თავზე არის, ის სურფგეორქის ეკლესია, ის ძეგლი საიათნოვასი, რომლის მისამართიც გაიფიქრეთ გულში და რომელიც რის ნაილაჯობით მოგასწავლეთ!.

**ი. გრიშაშვილი.**

მაგრამ ერთი რამ აკლიათ ჩვენს ლენინ-ნებს: გამბედაობა!

ბ. ჟორდანიას წინასიტყვაობის შემდეგ ბ-ნი წერეთელი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და საქართველოს რესპუბლიკის ბედს. ირ. წერეთლის თქმით, საქართველოს არაფერი ახალი საფრთხე არ მოელის: თუ ჩვენ გერმანელებს გადავრჩით, მით უფრო არ უნდა გვეშინოდეს საფრანგეთისა და ინგლისის, რომელნიც მაინცა და მაინც არ არიან ცნობილი პატარა ერთა დაჩაგვრითო: ერთად ერთი საფრთხე მოგველის ჩვენის ახლო მეზობლებისაგან და საქართველოს მოწინააღმდეგე შინაურ მტრებიდანო.

ჩვენ, ნაციონალ-დემოკრატებმა განა ერთხელ ვამხილეთ ეს შინაური მტრები? მაგრამ პასუხად მხოლოდ შოვინისტების, კონტრ-რევოლიუციონერების და „მოღალატეების“ სახელი მივიღეთ! დღეს კი, როდესაც ჩვენი ნათქვამი ასრულდა, და მოწმე შევიქენით სანაინისა და ქსანის ამბისა, ეხლა ირ. წერეთელმაც გამოიბა ყური, მაგრამ ისევ ის ძველი, ნაცადი გზით მიტინგებზე ლაპარაკით უნდა ჩაანელოს ყველაფერი ეს. ჩვენ არ გვჯერა სიტყვებით ბრძოლა, საჭიროა საწინააღმდეგოდ სასტიკი ზომები, ვიდრე სახრჩობელამდის ყველა იმათთვის, ვინც ფრონტის უკან რკინის გზებს გვიფუჭებს და სომხის ჯარს გამარჯვებას უმზადებს.

დამახასიათებელი იყო იმ დღეს რუს-სომეხ ესერების გამოსვლა მუშათა საბჭოში და ჰკუის რიგება იმის შესახებ, რომ საქართველო მშვიდობიანათ იყოს და არჩიოს რუსეთთან ფედერაცია ექიოსო. სამართლიანი გულისწყრომით უპასუხა ამაზე ბ-მა ირ. წერეთელმა: მხოლოდ საქართველოს მტერს შეუძლია რუსეთის ორიენტაცია გვირჩიოსო.

მაგრამ რამდენადაც სამართლიანია ეს პასუხი იმდენათ გასაკვირიც არის. განა ბ-ნი ირ. წერეთელი არ იცავდა ამ ხალხს ჩვენს პარლამენტში და ბრაზ მორეული რისხვას აყრიდა ნაციონალ-დემოკრატებს, როდესაც ისინი რუს-სომხეთა საფრთხეზე უთითებდნენ! ბ-ნი ირ. წერეთელი არ არის, რომ პარლამენტში რუს-სომხებს ტაშით ახარებს და მუშათა საბჭოში კი მოღალატეებს ეძახის. მაგრამ რა გაეწყობა! განა ანდაზა „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“, ქართველ მენშევიკებზე არ არის დაწერილი?

მაგრამ ყოფილან ისეთნი მენშევიკებიც, რომელთაც არც გადაბრუნებულ ურემზე ჯდომა აშინებთ: ასეთია ბ-ნი ევგენი გეგეჭკორი: მან მუშათა საბჭოში ხელი გაუწოდა რუს-სომეხ ესერებს და უთხრა: შევერთდეთ და ერთობით შევმუსროთ ნაციონალ-დემოკრატების საფრთხეო!

ალბად, ეს საგარეო მინისტრობის დასაჭერი ეგზამენი იყო უცხოელთა დემოკრატების წინაშე.

ასეთია მუშათა პარლამენტის პოლიტიკა.

ვ. სიქთარუელი.

# მიხაკო წერეთლის წიგნიდან.

„Das Neue Georgien“.

ბერლინში გამოიცა მ. წერეთლის შრომა გერმანულ ენაზე „ახალი საქართველოს“ შესახებ.

საქართველოსა და მის მეზობელ ხალხთა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ მ. წერეთელი ასე ამბობს:

„მთელ კავკასიის ტერიტორიალურ საზღვრებში მხოლოდ საქართველომ შესძლო სახელმწიფოს დაარსება და მისი 2000 წლის განმავლობაში შენარჩუნება, მხოლოდ ქართველი ხალხი იყო აქ სახელმწიფოებრივობის იდეის მატარებელი. სხვა კავკასიის ერები კი მუდამ ებრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივობას: იმის მაგიერად, რომ საქართველოსათვის მხარი დაეჭირათ და ამით თავისი თავისუფლება უზრუნველყოთ, ხსენებული ერები მუდამ საქართველოს მტრებს უჭერდენ მხარს. დღეს, 117 წლის შემდეგ, ქართველი ხალხი კვლავ იმავე მდგომარეობაშია კავკასიის ხალხთა შორის, როგორც წინეთ, რუსეთის შემოსვლამდე. საქართველოს თავისუფლება დღეს ისე, როგორც წინეთ სხვა კავკასიის ერების თავისუფლების conditio sine qua non არის. ასეთ გადამწყვეტ მომენტის დროს ყველა კავკასიის ერები ეხლა მაინც უნდა შემოკრბენ დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს, როგორც ცენტრის, გარშემო და ამით თავისივე თავისუფლება უზრუნველჰყონ. ეს არის ერთად-ერთი მართალი ორიენტაცია, რომელსაც დღევანდელი მათი პოლიტიკური მდგომარეობა და მათი საღი პოლიტიკური აზრი უკიანახებსო“.

# საქართველოსა და სომხეთის საზღვარი.

(„ქართლის ცხოვრებიდან“).

....კონსტანტინეს (საბერძნეთის მეფეს) რამეთუ შიში აქუნდა კვალად სპარსთა მეფისაგან, შემწეობისათვის დაეზავა მირიანს (საქართველოს მეფეს,) აღიღო შვილი მირიანისა მძევლად, რომელსა ერქვა ბაქარ, და დამოყვრნა თრდატ (სომხეთის მეფე) და მირიან, და აგზავნა. მისცა თრდატ ასული მისი, რომელსა ერქვა სალომე. უჩინა საზღვარი ესრეთ:

რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით, მიერთვიან რახსა, ეს ქვეყანანი თრდატის კერძად დაყარნა, და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან, და მიერთვიან მტკვარსა, მირიანის კერძად დაყარნა, და შუამდგომელ იქმნა მათი და წარვიდა“.

ილ. ქუთნია.

# სამეგრელოს აგრარული ცხოვრებიდან

ძველს დროში სამეგრელო ცნობილი იყო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის საუკეთესო წარმოებით, „ოჯალეში“, ყურძნის ღვინო, რომელიც მოჰყავდათ მხოლოდ სამეგრელოში, ქებული იყო უცხოეთშიც, ნამეტნავად იტალიაში; მაგრამ შემდეგ, ჟამთა ზედგავლენით, მეურნეობის ფართო წარმოებას სახე ეცვალა, იგი გადაგვარდა და ბოლო ჟამს გაკოტრების კარებთან მივიდა. საზღაპროდ ნაყოფიერი მიწის ნიადაგი თავის უხვ გულმკერდს მარტო სიმინდ-ღომის მოყვანას უხსნიდა, და მარლაკ ეს დარგი იმდენად განვითარდა, რომ ადგილობრივ საზრდოს გადარჩენილი ბლომად გაჰქონდათ საზღვარ გარეთ.

სულ ოცი წლიწადი იქნება, რაც მეგრელებში განაახლეს ინტენსიური მეურნეობის მრავალ დარგში შესაფერისი მუშაობა; ახალი სიცოცხლის ელფერი დაედო ახლად გაშენებულ ბაღებს, ვაზით გადამწვანებულ ველ-მინდვრებს, დაფნით და სხვადასხვა თბილ ქვეყნების მცენარეებით გადაბადრულ ველგორაკებს. დღე-დღეობით მეგრელი ამშვენიერებდა და აკეკლუცებდა თავის სამეურნეო პლანტაციებს; ამ ოცი წლის განმავლობაში მეგრელი ქონებრივად მოღონიერდა, რასაც მოჰყვა კულტურული განვითარებაც: თითქმის ყოველ სოფელში სკოლები არსდებოდა, სკოლებთან ხსნიდენ სამეურნეო განყოფილებას, და ყოველი გლეხი ვალდებულად რაცხდა თავის თავს, მდიდარი იქნებოდა იგი თუ ღარიბი, უკანასკნელი თავისი ჩოხაც გაეყიდა, ოღონდ თავისი შვილი სწავლაში მიეცა. ამ გვარმა მეცადინეობამ კიდეც თავისი ნაყოფი გამოიტანა. მეგრელი საქართველოს ეროვნულ ორგანიზმის შეგნებული ნაწილი გახდა და მასთან ერთად იგი ხდება მატარებელი იმ დიდ ცნებისა, რომელსაც ეწოდება ნაციონალიზმი. ეს საკმაოთ, დაამტკიცა საერობო არჩევნებმა, სადაც სოციალისტურ ბლოკს ბევრგან მარტო ნაციონალ-დემოკრატებმა აჯობეს.

მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა მეგრულ მეურნეობისა სავალალო ხდება იმ ოპერაციების გამო, რომელსაც ახდენს სოფელში სოციალ-დემოკრატების სამიწო დეკრეტი. აგრარულ საკითხის უმეხად გადაწყვეტამ აყვავების კარებისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მეგრელს — და მგონია ბევრ სხვასაც, აზრი შეუცვალა და დააყენა რეგრესის გზას; იმას გული უკვდება, შიში იპყრობს და იგი იძულებული ხდება შეაჩეროს მეურნეობის მაჯის ცემა. მას ყველაფერში ეჭვი ეპარება, არ თუ ოფლი დაღვარო ტყუილ უბრალოდ და ჩემს ნაოფლარზე გულ ხელ დაკრეფილ მოსიარულემ ინავარდოსო და შეუჩვეველის ურჩი ხელით სატიროს ათი წლობით ალერსს შეჩვეული ბაღ-ბაღჩებიო.

აი ყველაფერი ეს გულს უტეხს გლეხს, რომელიც გუშინ მომავლისკენ იმედით გაიყურებოდა; ყველაფერი ეს მახვილს სცემს მეურნეობის ქორფა გულ-მკერდს. ცოტა ალიაქოთს არა ჰქონდა უკვე ადგილი სოფელ უშაფათ-ტოლო-აბედათში მიწის „განაწილების“ დროს; ბევრმა მიწის პატრონმა, თავიდან რომ აეცილებია სოციალისტთა კანონიერება, ყალბ ქალალდების კეთებაც იკადრა ნასყიდობის საჩვენებლად, და ბევრ ალაგას ეს უშიშრადაც გავიდა. ზოგგან კი ძლიერებზე პირდაპირ იარაღს ხმარობენ. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ზნეობრივად სცემს ხალხის სულს და მისი პროგრესიული მოქმედებაც შეჩერებულია.

ხ. შამათავა.

ახალ-სენაკი.

# არტილერისტის ფიქრები

(საუბარი კ. იშხნელთან)

არაა საჭირო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ეკუთვნება ჩვენს დროში არტილერიას.

თანდროული საერთაშორისო ხოცვაჟლეტა, თავდაპირველად მუდამ გამეხობესების პროცესში მყოფ ცეცხლით მყეფავ გველეშაპების შეჯახებაა. აწინდელ ომიანობას არტილერიის ცეცხლის შეჯიბრება ახასიათებს.

საქართველოს თავისი წმინდა ნაციონალური რამ ჯერ, რასაკვირველია, არაფერი შეუქმნია და გაუკეთებია არტილერიის დარგში.

დღევანდელი ხანა ისეთია, რომ ჩვენს ქვეყანას მუდმივ თავდაცვისთვის ე. ი. საომრად მზად ყოფნას უბრძანებს.

საქართველოს თავისი მილიტარული ძალა ყოველ დღისთვის გამზადებული უნდა ჰყავდეს.

ახლა კი, როგორც ყველა მოსთქვამს და პრესაც ამტკიცებს, საქართველოს შეიარაღებული ძალის ორგანიზაცია შეფერხებული და თან „გამოურკვეველია“

აგერ მეშვიდე თვეა, რაც ჯარის შედგენა დაიწყო. მაგრამ აქამომდე არც ერთ ნაწილში ჯარის თავმოყრით, მის დისციპლინით გაწვრთნით და საჭირო ჟამს მასზე იმედ დამყარებით უზრუნველ ყოფილი არ ვართ. მიზეზი ამისა მრავალია მხოლოდ შევეხები არტილერიას. ანარქიიდან და სხვა სოციალისტურ ქადაგებიდან გარყვნილ-გაფუჭებულ ხალხს ყაზარმებში ვერ ვაჩერებთ; ბატარეები ოფიცრებისა და ზარბაზნების ამარა გვრჩება. დეზერტირობის გაძლიერება უთუოდ უნდა მივაწეროთ სოფლის „ამხანაგურ“ კომისართა რეჟიმს, რომელიც გაქცეულ ჯარის კაცს არ ატყვევებს და თავის ნაწილში უკანვე არ ჰგზავნის. დისციპლინა უნდა იყოს არა მარტო ყაზარმებში, არამედ სოფელში, ხალხში და ეს უწინარეს ყოვლისა უნდა შეჰქმნას იქ ადმინისტრაციამმან სასტიკად უნდა დევნოს ჯარიდან გაპარულნი, შეიპყროს ისინი და შესაფერ ადგილას წარადგინოს.

...იარაღი არტილერიისა გვაქვს, მაგრამ მოუვლელი, დაუთვლელი.. ოფიცერთა შემადგენლობაც შეუფერებელია. საქართველოს დამოუკიდებლობით ზიარებული ოფიცრობა მცირეა. უცხო და საქართველოს არა ქვეშევრდომი ოფიცრები დასანდონი არ არიან.

ისინი თავის დღეში ვერ ისწავლიან ქართულ ენას, რადგან ენა იგი მათ სძაგთ და თუ ისწავლიან, ეს მათთვის იძულებითი იქნება; და ამიტომაც საკვირველია, რომ სამხედრო სამინისტრო წარჩინებას აძლევს საქართველოს არა ქვეშევრდომ ოფიცრებს.

...ტყვია წამალსაც, რაც გვქონდა, იმას აკლდება, ხოლო საიდან მიეიღებთ-ჯერ კი არ ვიცით. ჩემის ფიქრით, აუცილებელია დაუყოვნებლივ გაიხსნას საარტილერიო სასწავლებელი და ეროვნულად მომზადდეს ოფიცრობა.

არტილერიის ნაწილებშიც დაჩქარებით უნდა მოეწყოს „სამოსწავლო კომანდები“ ჯარის კაცების მოსამზადებლად. სათანადო ყურადღება მიექცეს ჯარის სურსათით და ფულით უზრუნველყოფას. დაე თუ კი ეს მიზან შეწონილი იქნება, მეტი დაიხარჯოს ფული, ოღონდ ჯარი გვყავდეს ჯარის მსგავსი და მის შემწეობით ვახერხებდეთ მტერ-მოყვარესთან ანგარიშის გასწორებას!!.

საქართველოს ლაშქარს მთავარ სარდალი არ ჰყავს, რაც ბ-ნ იშხნელის აზრით, დიდათ საჭიროა ჯარის შეკრების საქმეში და ნამეტურ კი სამხედრო ოპერაციების წარმოების დროსო.

ი. დიდიძე.

# ქართული პრესა

## 30 მილიონის ფონდის შესახებ.

გაზეთ „შრომა-“ში ბ-ნი ს. პაიძე სწერს:

„მგონი, ორჯვერაზე მეტია, რაც პარლამენტის უწყებაში დგას პარლამენტის წევრის ბ. ვეშაპელის შეკითხვა მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლიორის მიმართ შესახებ რუსეთიდგან გამოგზავნილ ოცდაათ მილიონ მანეთის ბედისა. ყოველ სხდომაზე უწყების ბოლოს სდგას აღნიშნულ შეკითხვას პარლამენტის პრეზიდიუმში. სხდომა იხსნება $1^{1}/_{2}$—2 საათზე, გრძელდება ის საათნახევარ — ორ საათს; ოთხ საათზე ქვორუმი უკვე გამქრალია, — და სხდომა იხურება. ამნაირად, უწყების კითხვები არასოდეს არ იწურება ხოლმე. ასე თუ გაგრძელდა საკითხების უწყებაში განაწილების წესი, თავის-თავად ცხადია, ბ. ვეშაპელი თავის შეკითხვაზე ვერასოდეს ვერ ეღირსება პასუხს.

ჩვენ გვაინტერესებს საქმის მხოლოთ ერთი მხარე. საქმე იმაში გახლავს, რომ ბ. ვეშაპელის უკანასკნელმა შეკითხვამ ასე თუ ისე მაიპყრო საზოგადოების ყურადღება, სხვა და სხვა წრეებში სხვა და სხვანაირი მითქმა მოთქმა გამოიწვია. დაიწყო შეკითხვის გარშემო ერთგვარი განგაში... ალბათ ამით აიხსნება, ის გარემოება, რომ ბ. ვეშაპელი სრულიადაც არ ცდილობს დააჩქაროს შეკითხვის გარჩევა. მაგრამ, რაც ბ. ვეშაპელისათვის ხელსაყრელია, სწორედ ის არის დამღუპველი ჩვენი მთავრობისათვის. ამიტომ, ჩვენის აზრით, დიდი შეცდომაა პარლამენტის პრეზიდიუმის და მთავრობის მხრივ, რომ აქამდის შეკითხვას არ მიეცა უწყებაში ადგილი პირველ რიგში. აგრეთვე დიდ ტაქტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს სოც.-დემ. ფრაქციის მიერ შემოტანილი წინადადება შეკითხვის მოხსნის შესახებ. ვინაიდან როცა ოპოზიციამ შეკითხვა შემოიტანა, მთავრობა ვალდებულია მას პასუხი გასცეს და დააკმაყოფილოს მით საზოგადოებრივი აზრი. ამ შეკითხვის მოხსნა ყოვლად შეუძლებელია. ლაპარაკია არა ოცდაათ მანეთზე, არამედ ოცდაათ მილიონზე. მთავრობამ უნდა წარუდგინოს პარლამენტს დასაბუთებული ვრცელი განმარტება და მით ერთხელ და სამუდამოთ მოსპოს ყოველგვარი მითქმა-მოთქმა საზოგადოებაში და მოუსპოს პარლამენტის მემარჯვენე ფრთას ხსენებულ შეკითხვის ნიადაგზე აგიტაციის საშუალება“.

# ქ რ ო ნ ი კ ა.

— **ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლები.** საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად შვეიცარიაში მ. ალ. სუმბათაშვილი დაინიშნა.

როგორც გაზეთი „შრომა“ გადმოგვცემს, ბ. სუმბათაშვილი ბ. აკ. ხოშტარიას ერთი მოსამსახურეთაგანია და ამ ჟამად იმყოფება საზღვარ გარედ ბ. ხოშტარიას სხვადასხვა კომერციულ საქმეების გამო..

— **მიწების ჩამორთმევა და სომხები.** რამდენიმე დღის წინად სომხის დიპლომატიური წარმომადგენელი შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს: ვრცელდება თუ არა მიწის ჩამორთმევის კანონი გარეშე სახელმწიფოთა ქვეშევრდომებზეო. ეხლა დიპლომატიური წარმომადგენელი ეკითხება გარეშე საქმეთა მინისტრს—შესაძლებელია თუ არა, ზევით მოყვანილ შეკითხვის გარჩევამდე, შეჩერებულ იქნას იმ მიწების ჩამორთმევა, რომელიც სომხის მოქალაქეთა საკუთრებას შეადგენსო.

— **კუჩემბახის მამულების დარბევის გამო.** შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე ფონ-კრესმა, რომ რაც შეიძლება მალე [illegible] ლი კომისია ბორჩალოს მაზრაში ფონ-კუჩენბახის მამულში დატრიალებულ [illegible] ბულების გამოსარკვევად. კომისიაში შევლენ ადგილობრივ თათართა, გერმანელთა და ქართველთა წარმომადგენლები.

— **მეცხვარეების საჭიროებანი.** ხევისა და გუდამაყრის მეცხვარეები დუშეთის მაზრიდან უკვე ჩამოვიდნენ საზამთრო ბინადრად ყარაიაზის ველსა და ნათლისმცემლის და გარეჯის მონასტერთა ყოფილ საძოვრებში. მიღებულია ზომები, რომ სიღნაღის მაზრაშიც მათ მოსათავსებლად დაეთმოთ საჭირო ადგილი. მათი ცხვარი დაახლოვებით 100,000 სულ უდრის, რომლისთვისაც საჭიროა 34—34 ათას დესეტინამდე მიწა.

# დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება.

## თავი I.

### საერთო დებულებანი.

1) დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეულნი მცოვრებლების მიერ საყოველთაო-განურჩევლად სქესისა,—თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციულ წარმომადგენლობის საფუძველზე.

2) დამფუძნებელ კრების არჩევნების საწარმოებლად არსდება ერთი საარჩევნო ოლქი.

დამფუძნებელ კრების წევრთა რიცხვი ასოცდაათია. არჩევნებზე ხმის მისაცემად რესპუბლიკა იყოფა საარჩევნო უბნებად.

## თავი II.

### საარჩევნო უფლება.

3) დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეთ, თუ მას არჩევნების დღისთვის 20 წელი შეუსრულდა. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულთ აქვთ მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება.

4) არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ვინც კანონიერის წესით გიჟად ან ჰკუაზე შეშლილადაა აღიარებული, აგრეთვე, თუ ისინი სხვისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.

5) საარჩევნო უფლება არა აქვთ:

1) სასამართლოს მიერ სასჯელ-მისჯილთ, თუ განაჩენი ძალაშია შესული და თუ მათ ართმეული უფლებები არ დაბრუნებიათ: ა) კატორღა მისჯილთ სასჯელის მოხდის შემდეგ ათის წლის გასვლამდე; ბ) ვისაც მისჯილი აქვს გადასახლება, გამასწორებელი სატუსაღო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსაღო ან ციხე მდგომარეობის უფლებების ჩამორთმევით ან შეზღუდვით, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთის წლის გასვლამდე.

2) დასჯილთ ქურდობისათვის, გარდა იმისა, რომელიც გათვალისწინებულია მე-171-ე მუხ. მე-2-ე პუნქ. მიერ, რომელთაც მომრიგებელი მოსამართლენი მიუსჯიან (კან. კრებ. ტ. XV გამოც. 1914 წ.), დასჯილთ „მაშენიკობისათვის“, მიბარებულ ქონების მითვისებისა ან გაფლანგვისათვის, გარდა იმ გაფლანგვისა, რომელიც გათვალისწინებულია იმავე წესდების მე-177-ე მუხ. მეორე ნაწილისა და სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-1681-ე მუხლის მეორე ნაწილის (1912 წ. გაგრძ.) (კან. კრებ. ტ. XV). მოპარულის დამალვისათვის, განძრახ მოპარულის ყიდვისა ან გირაოდ მიღებისათვის, თუ ეს ხელობად დაუსახავთ, სიყალბისათვის, მევახშეობისა, ქრთამის აღებისა ან ქრთამის მიცემისათვის და აგრეთვე მაჭანკლობისთვის და გარყვნილების ხელის შეწყობისათვის (კან. კრებ. ტ. XV სისხ. სამ. დებ. გამ. 1909 წ.. მუხ. 524-526, 526, 527 და 529), და აგრეთვე ისეთ მოქმედებისათვის, რომელთა მიზანი იყო საკანონმდებლო დაწესებულებათა ან თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების თავისუფლების და სისწორის დარღვევა,—სამის წლის გასვლამდე დღიდან სასჯელის მოხდისა.

3) ვერშემძლე მევალე, რომელიც ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით ბოროტგანზრახულ ვერშემძლედ იქნება გამოცხადებული სამის—წლის გასვლამდე დღიდან ამ აღიარებისა:

4) იმ სამხედრო პირთ, ვინც სამხედრო სამსახურიდან გამოიქცა.

5. თვითეულ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვინც ამ უბნის საარჩევნო სიაშია შეტანილი.

6) არჩეული შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელიც არაა შეტანილი საარჩევნო სიაში, მაგრამ საარჩევნო უფლების პირობას აკმაყოფილებს.

7) არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან საარჩევნო სიაში შეტანილი ის პირები, რომელნიც არჩევნების დაწყების წინ დაჰკარგავენ საარჩევნო უფლებას (მუხ. 4—5) და აგრეთვე ისინი, ვინც აღნიშნულ დროისთვის აღმოჩნდებიან თავისუფლება მოკლებულნი ან სასამართლოს უკვე ძალაში შესულ განაჩენით ან და იმის გამო, რომ სასამართლოსაგან პასუხისგებაში არიან მიცემულნი, როგორც ბრალდებულნი რაიმე დანაშაულობითი მოქმედებაში და მათ წინააღმდეგ წინასწარ ზომად დატუსაღებაა მიღებული.

---

შესაძლებლობა ცალკე მომჭირნე პირთა ხელში ფულის მოგროვების. ამ გზით ხომ შესაძლებელი გახდებოდა კაპიტალისტთა კლასის შექმნა, რომელიც გამონახავდა საშუალებას, რომ თან და თანობით დაემორჩილებია ნაკლებად მომჭირნე და თავის ნაშრომის მხარჯველი მუშები

რათა ასსიგნოვკა მთლად, ან ცალკე მისი კუპონი სხვას, მესამე პირს ვერ გადასცენ, კუპონი უნდა მოეხეს იმ დროს, როცა საჭიროა, მაგრამ არა თვით მეპატრონესაგან, არამედ იმის თანდასწრებით უნდა მოჰხიოს მან, ვინც კუპონს ღებულობს ფულის მაგივრად, — ან საქონლის გამყიდავს, ან სხვა მოხელემ. კუპონები, რომელსაც სახაზინო ბუხჰალტერი ყოველ ორ კვირაში ერთხელ პატრონის ფოტოგრაფიულ სურათიან ყდაში ჩააწებებს ხოლმე, სხვა და სხვაგვარია. სადგომი ბინის კუპონი, ანუ საბინო მარკა, უნდა ფრხილად მოჰხიოს იმ სახლის მეკარემ, რომელშიაც ბინა აქვს ვინმეს მიჩენილი. ახალი განაწილება სადგომებისა უნდა მოხდეს სახელმწიფო სამზარეულოთა გახსნის წინად, რადგან მაშინ ახლანდელი სამზარეულოები გაუქმებულ იქმნებიან. სადილის მარკა უნდა მოეხეს სადილის მიღების დროს, პურის მარკა—პურის მიღების დროს (700 გრამში თითო სულზე დღეში). ფულის მარკები, რომელიც აგრეთვე წიგნშია მოქცეული, სხვა და სხვა ღირსებისაა, და შეუძლიანთ იხმარონ პატრონებმა, როგორც უნდათ, საუზმისა და ვახშმის სასყიდლად, თამბაქოსა და მაგარ სასმელებისათვის, საცვლების გასარეცხად, ტანისამოსის სასყიდლათ, ერთის სიტყვით ყველაფრისათვის, რის ყიდვაც-კი შეიძლება. ყველა ესენი მიაპოვებიან სახაზინო მაღაზიებსა და სავაჭრო ადგილებში. მყიდველმა მხოლოთ საქონლისათვის დაწესებულ ფასის კუპონი უნდა მოჰხიოს.

რადგან ყოველ კუპონზე აღნიშნულია ასსიგნოვკის ნომერი და მისი პატრონიც სიაში შეტანილი, მოგროვილ კუპონებიდან შეიძლება გაგება, თუ ვინ რაზე მიიხმარა თავისი ნამუშავარი. მაშასადამე, მთავრობას საშუალება აქვს თვალ-ყური ადევნოს მოქალაქეთ, აგრე ვთქვათ, მათს სტომაქსაც კი, რამაც ფრიად უნდა გაადვილოს წარმოებისა და მოხმარების ორგანიზაცია.

კუპონებით შეძენილ საქონელს მყიდველი ან თითონ მოიხმარს, ან შეუძლიან სხვის გადასცეს, მესაკუთრეს, თუ მოისურვებს, ისიც შეუძლიან, რომ სხვას უანდერძოს ეს საქონელი, თუ ვინიცობაა თითონ მოკვდა. ამგვარად, როგორც შენიშნავს მთავრობის გაზეთი, სოციალ დემოკრატიის მტერთა და ცილისმწამებელთა სასირცხვილოდ, ამ დაწესებულებით დამტკიცდა, რომ სოციალ-დემოკრატიას სრულიადაც ის არა სურს, რომ ყოველ გვარი კერძო საკუთრება და ყოველგვარი მემკვიდრეობითი უფლება მოსპოს, არამედ მხოლოდ იმდენად საზღვრავს ინდივიდუალურ თვითნებობას, რამდენადაც ეს საჭიროა, რომ აცილებულ იქმნას ახალ კერძო კაპიტალიზმისა და ექსპლოატაციის სისტემა.

ვინც ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. ახალ ასსიგნოვკის დამზადებამდე, მთლად არ დახარჯავს თავის კუპონებს, დანარჩენი ამ კუპონებისა მიეწერება ახალ ასსიგნოვკას. მაგრამ, რასაკვირველია, აქაც საჭიროა ზომების მიღება, რომ ამ დარჩენილ კუპონებით ნამდვილი კაპიტალი არ მოგროვდეს. თანხა 60 მარკა სრულიად საკმარისად ითვლება იმისთვის, რომ კუპონების გადანარჩენებით ყველას საშუალება მიეცეს ტანისამოსიც იყიდოს ამით. სხვა კი, რაც ამ თანხას აღემატება, ხაზინის სასარგებლოთ იქნება ჩარიცხული.

(შემდეგი იქნება).

# საქართველოსა და გერმანიის ხელშეკრულება
## ფოთის პორტის შესახებ

დადებული საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის და დელეგაციის წევრთა დოქტორ ნ. ნიკოლაძისა და დოქტორ თავად ზ. ავალოვისა—ერთი მხრით, ხოლო ცალკე აღნიშნულ ფირმათა შორის *) მეორეს მხრით „ფოთის პორტით სარგებლობისათვის სააქციონერო საზოგადოების“ დაარსების შესახებ

§ 1.

საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა ვალდებულია მისცეს სააქციონერო საზოგადოებას, რომელიც დაარსებულ იქმნება, თანახმად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებისა, ტფილისში მყოფ გამგეობით, ხოლო ბერლინში მყოფ განყოფილებით ქვემოთ ჩამოთვლილ ფირმათა ხელმძღვანელობით ფოთის ნავთსადგურის ექსპლოატაცია 1918 წლის 1-ლ ოქტომბრიდან სამოცის წლის ვადით.

§ 2.

სრულსა და უდავო განკარგულებაში გადაეცემა ამ საზოგადოების მთელი ტერიტორია ნავთსადგურისა ყველა მასზე მყოფ სანავთსადგურო შენობებითა და მოწყობილობით. საზოგადოება ვალდებულია გამოიყენოს ყველა ეს მოწყობილობანი თანამედროვე სატრანსპორტო მოთხოვნილებათა საჭიროების დაგვარად; გადაცემა საზოგადოებისადმი სანავთსადგურო შენობათა და მოწყობილობათა მოხდება განსაკუთრებულ შეთანხმებით, როდესაც ამას საზოგადოება მოითხოვს. ამასთანავე საზოგადოებას უფლება ეძლევა განაგოს და ეპატრონოს ყველა ამ ქონებას, როგორც სრული მესაკუთრე. რაც შეეხება მოსამსახურე პირთა საზოგადოების სამსახურში გადასვლას, ამის შესახებ ცალკე წესი იქნება დადგენილი. ხელშეკრულობის ვადის გასვლის შემდეგ, მთელი სანავთსადგურო შენობანი და მთელი ნავთსადგურის საექსპლოატაციო ორგანიზაცია გადაეცემა საქართველოს მთავრობას საზოგადოების მხრივ რაიმე ზარალის აუნაზღაურებლად დანაკლისისათვის. დიდრონ სანავთსადგურო შენობებისათვის გაწეულ ხარჯებში მონაწილეობის თაობაზე, რაც არსებულ მოწყობილებით სარგებლობის საგანს არ შეადგენს. როგორც აშენება ახალ „მოლებისა“ და ნავთსადგურისა, საზოგადოება მუშაობის დაწყებამდე უნდა განსაკუთრებით შეუთანხმდეს საქართველოს მთავრობას.

§ 3.

ძირითადი თანხა საზოგადოებისა ფოთის ნავთსადგურის სარგებლობისათვის შეადგენს 10.000.000 მარკას, განაწილებულს სახელობითი აქციებათ, რის შესაძენადაც თანასწორი ნაწილი აქეთ ქართულსა და გერმანულ კაპიტალს. საქართველოს სახელმწიფოს მთავრობას უფლება აქვთ თვითონ შეიძინოს ის ნაწილი აქციებისა, რომლის შეძენის უფლებაც ქართულ კაპიტალსა აქვს, ან და ეს აქციათა ნაწილი ქართველ კაპიტალისტებს გადასცეს—სხვა შემთხვევაში ეს აქციები თვით საზოგადოებას უნდა გადაეცეს.

§ 4.

საზოგადოების გამგეობა შესდგება სამის კაცისაგან, რომელთაგან ორს წარმოადგენს გერმანელი აქციონერები, ხოლო ერთს ქართველი აქციონერები. თავმჯდომარეს ზედამხედველ საბჭოსას წარმოადგენს ქართველი აქციონერები საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეთაგან, ხოლო მის მოადგილეს—გერმანელი აქციონერები. რაც შეეხება არჩევნებს (დამტკიცებას) გამგეობის წევრთა, ზედამხედველ საბჭოს თავმჯდომარისა და იმის მოადგილისას, ეს აქციონერთა ორივე ჯგუფის შეთანხმებით უნდა მოხდეს.

§ 5.

საზოგადოების წმინდა მოგებიდან, რაც ძირითად თანხის 10 პროცენტს აღემატება, ნახევარი ერგება საქართველოს სახელმწიფოს

§ 6.

საზოგადოება აძლევს საქართველოს სახელმწიფოს ყოველ ტონნა ტვირთიდან, რომელიც ფოთის ნავთსადგურიდან იქნება გატანილი, 2 მარკას, მარგანეცსა და სხვა საქონელზე ცალკე ტარიფი იქნება; გადაწყვეტა იმისა, თუ რა ნაწილი ერგოს ამ შემოსავლიდან ფოთის ქალაქის თვითმმართველობას საზოგადოებრივ და სანავთსადგურო გადასახადთა დასაფარავად, დამოკიდებულია საქართველოს მთავრობასა და ფოთის ქალაქის თვითმმართველობის შეთანხმებაზე.

§ 7.

გადასახადი ნავთსადგურით სარგებლობისა, მისის მოწყობილობითა და საზოგადოების დახმარებისათვის უნდა დადგენილ იქმნას საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების შეთანხმებით, რისთვისაც გადასახადი ნედლ მარგანეცსა და მარგანეცის კონცენტრატებზე არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო მეურნეობის ნედლ ნაწარმოებთათვის დაწესებულ გადასახადს.

§ 8.

საზოგადოებას არავითარს შემთხვევაში არ დაეკისრება გადასახადი იმისა და იმაზე მეტი, რაც სხვა ამგვარსავე საზოგადოებათ ჰხვდებათ.

§ 9.

საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა კისრულობს მიიღოს ყველა კანონიერი ზომები და გამოსცეს სათანადო სახელმძღვანელო აქტები, რათა ხელშეკრულობის ვადის განმავლობაში საზოგადოებას შეეძლოს ჰფლობდეს და სარგებლობდეს ყველა იმ მიწებს, რაც დაჭირდება ნავთსადგურის მოწყობისა და მით სარგებლობისათვის, თუნდაც მიწის მესაკუთრეთა სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ ზარალის ანაზღაურებით. საზოგადოებაზე გადაცემა სარგებლობის და მფლობელობის უფლებისა, აგრეთვე ანაზღაურება ზარალისა სწარმოებს თანახმად მომქმედ კანონისა, მაგრამ გადაცემა თითონ მიწისა ზედ საჭირო შენობების აგების უფლებით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს.

§ 10

საზოგადოებას უფლება ეძლევა მოაწყოს ნავთსადენი ბაქო-ბათომის ნავთსადენთან შეერთებით სადგურ სუფსასთან, ან სხვა ადგილას, აგრეთვე უფლება ეძლევა რკინის გზის გაყვანისა და იმით სარგებლობისა სუფსიდან ან სხვა ადგილიდან ტფილის-ბათომის რკინის გზისა. საზოგადოებას უპირატესობა ეძლევა ამ მოწყობილობათა გასაყვანად. საქართველოს მთავრობა ყოველ ზომებს იღებს აცილებულ იქმნას რაიმე საერთაშორისო დაბრკოლება ნავთსადენის გაყვანისათვის. საზოგადოებას უპირატესობა ეძლევა პორტებისა და ყოველგვარ სანავთსადგურო საშუალებათა და საქონლის გასაზიდ (ტრანსპორტი) მოწყობილობათა შენებისა ქალაქ ფოთიდან დაწყებული სამხრეთისაკენ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრამდე და ჩრდილოეთისაკენ 20 კილომეტრზე პირდაპირ საჰაერო სივრცის ანგარიშით, ამასთანავე საზოგადოებას ისეთივე უფლება ეძლევა ქალაქის ფარგალს გარეშე მდებარე მიწებზედაც, როგორსაც ანიჭებს § მე-9.

§ 11.

საქართველოს მთავრობას უფლება აქვს თავის მუდმივის წარმომადგენელის საშუალებით კონტროლი იქონიოს, რათა საზოგადოებამ დაიცვას პირობა საკონცესიო ხელშეკრულობისა.

§ 12.

საქართველოს მთავრობა თავის მფარველობის ქვეშ იღებს საზოგადოების ქონებას და პასუხისმგებელია ზარალისა, თუ რამ არეულობისა, ან შინაგან პოლიტიკურ მიზეზთაგან იქნება წარმომდგარი.

*) ფირმათა სია პირველ ხელშეკრულობაში იყო მოთავსებული.

# ჰაუპტმან კაიზერის და გრაფ ვოლფსკელის წასვლა.

წარსულ კვირას ბერლინში გაემგზავრნენ ორი ჩვენი დიდი მეგობარი გერმანელი აფიცრები—ჰაუპტმან კაიზერი და მაიორი გრაფი ვოლფსკელი. ამ ორ განათლებულს გერმანელ ოფიცერს წილად ხვდა საქართველოს განთავისუფლების ჟამს ისტორიული როლი ეთამაშათ. ჰაუპტმან კაიზერი იყო ის პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც საქართველოს საბედისწერო ჟამს, როცა თბილისს და ქუთაისს ემუქრებოდა ვეხიბ-ფაშას თათართა ჯარები, სასწრაფოდ მოუყარა თავი გერმანელ ტყვეებს, და საქართვ. მთავრობის რწმუნებულის დ. ვაჩნაძის მიერ შეიარაღებულს დარაზმულს დააკავებინა საქართველოს რკინის გზების სადგურები და ამით გადასწყვიტა ვეხიბფაშას ცნობილ ულტიმატუმის ბედიც. და სანამ გერმანიიდან მოვიდოდნენ მაშველი რეგულიარული ბატალიონები, ოფიცერი კაიზერი თავის 700 ტყვე გერმანელით დარაჯად ედგა ახლად გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობას საქართველოს ამ ისტორიულ მომენტს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით დაწვრილებით მოთხრობას ამ დიდ მნიშვნელოვან პერიოდისა საქართველოს განთავისუფლების ხანისა. მაშინ სიმპატიურ ჰაუპტმან კაიზერის ფიგურაც უფრო რელიეფურად წარმოგვიდგება. მაგრამ ამასთანავე გვინდა აღნიშნოთ მეორე თვალსაჩინო გერმანელის სამხედრო მრჩეველის გრაფ ვოლფსკელის ფიგურაც. ამ უკანასკნელს იგივე კაიზერის თანამშრომლობით, მიუძღვის დიდი ღვაწლი ჩვენი ახალგაზრდა ჯარის დაწყობაში. მისი უკანასკნელი მოხსენება სამხედრო საპარლამენტო კომისიაში, რომლის ზოგი ადგილები ცალკე მოგვყავს, მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს ჯარის ორგანიზაციის საქმისათვის.

ეს ორი დიდი მეგობარი საქართველოსი გაგვშორდა წარსულ კვირას იმ მშვენიერ გამოსათხოვებელ ნადიმის შემდეგ, რომელიც გაუმართა მათ წინა ღამეს სამხედრო სამინისტრომ. გრაფ ვოლფსკელს სამხედრო მინისტრმა პატივისცემის და მადლობის ნიშნად უბოძა ქართული ხმალი. ასეთივე საჩუქარი ეგზავნება ჰაუპტმან კაიზერსაც ბერლინში, რადგან სამინისტრომ ვერ მოასწრო მისი დროზე დამზადება.

გრაფ ვოლფსკელმა ქართულ ხმლით ხელში თვის გამოსათხოვებელ სიტყვაში სთქვა: ბ-ბო, მე მივდივარ საქართველოდან და მიმაქვს თან რწმენა თქვენი თავისუფალ ქვეყნის დიდ მომავლისა. მე ვამაყობ იმას, რომ ღმერთმა მარგუნა ბედნიერება ვემსახურნა რაინდ ქართველ ხალხის სამშობლოს თავისუფლებისათვის უკუღმართმა ბედმა ვერ დამაცალა ბოლომდის დამესრულებინა ის სამხედრო გეგმა, რომელზედაც შენდება დღეს საქართველოს ახალგაზრდა მუდმივი ჯარი. იმედი მაქვს იგი მალე მოეწყობა საქართველოს საკეთილდღეოდ. მშვიდობით, მე მივდივარ სამშობლოში. და თან დაუმსახურებლად მიმაქვს სახსოვრად თქვენი პატივისცემა და ეს ძვირფასი საჩუქარი, ქართული ხმალი. გფიცავთ თქვენ, რაინდ ქვეყნის თავისუფლების მოყვარე შვილებო, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ამ ქართულ ხმლით ხელში მე ვიბრძოლებ თქვენსავით. ჩემი სამშობლოს თავისუფლებისათვის!!.

# მადნეულ აბანოების კონფისკაცია.

(კანონ-პროექტი)

1. ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყაროები, ტალახები და მ. ს. გარშემო მდებარე კურორტის მოწყობ-სათვის საჭირო ადგილები შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას.

2. ხსენებულ აბანოების, წყაროების და ტალახების საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა ენდობა მიწათმოქმედების მინისტრს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით.

3. მიწათმოქმედების მინისტრს ენდობა აგრეთვე: ა) მიღება სახელმწიფო კუთვნილებად ჩამორთმეულ მადნეული აბანოების, წყლების, ტალახების და მათ გარშემო მდებარე ადგილებისა და ბ) განსაზღვრა იმ სასყიდელისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოებისა, წყაროებისა, ტალახებისა და ადგილების პატრონებს შენობებისა და მათ მიერ გაკეთებულ მოწყობილების საფასურად, და აგრეთვე აბანოების, ტალახების და მათ გარშემო მდებარე ჩამორთმეულ ადგილების საფასურად, თუ ეს აბანოები, წყლები, ტალახები და ადგილები ქალაქშია ან და, თუმცა სოფლად, მაგრამ შედის იმ ნორმაში, რომელიც ამიერ კავკასიის სეიმის 7 მარტის 1918 წ. კანონის ძალით დატოვებული აქვს ან დარჩება მამულის პატრონს.

4. კურორტების მოწესრიგება და მათი მართვა-გამგეობა ენდობა მიწათმოქმედების სამინისტროს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით.

5. ყოველივე ხელშეკრულობა, რომლითაც იჯარით გაცემული გამოდგება საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები. ტალახები და მათ გარშემო მდებარე ადგილები, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

6. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

# ჩამორთმეული მიწების სტატისტიკა.

მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების ცნობით მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე მიმღებ კომისიებს ფონდში მიუღიათ:

1. თფილისის მაზრაში 52554 დეს. 1166 კ. ს. მიწა 2. გორის მაზრაში 35939 დეს. 1627 კ. ს. მიწა. 3. დუშეთის მაზრაში 12803 დეს. 257 კ. ს. მიწა. 4. თიანეთის მაზრაში 12218 დეს. 1854 კ. ს. მიწა. 5. სიღნაღის მაზრაში 16247 დეს. 647 კ. ს. მიწა. 6. თელავის მაზრაში 24513 დეს. 1192 კ. ს. მიწა და 7 ბორჩალოს მაზ. 14585 დეს. 1081 კვ. საჟ. მიწა. სულ თფილისის გუბერნიაში ფონდი 168852 დეს. 624 კვ. საჟ. მიწა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების ცნობით მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე მიწის ფონდში მიღებული ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში:

1. ქუთაისის მაზრაში 5565 დეს. 2387 კვ. საჟ. 2. შორაპნის მაზრაში 5155 დეს. 2069 კვ. საჟ 3. რაჭის მაზრაში 35 დეს. 2180 კვ. საჟ. 4. ოზურგეთის მაზრაში 15465 დეს. 25 კ. ს 5. ზუგდიდის მაზრაში 2833 დეს. 1630 კვ საჟ. და 6 სენაკის მაზრაში 25208 დეს. 453 კვ. საჟ. სულ ქუთაისის გუბერნიაში 53264 დეს. 1544 კვ. საჟ. მიწა.

## კორესპონდენცია

# კალატოზიშვილის მეურნეობა

**სოფელი წვერი (ქართლი.)** თუ ქართლის უმთავრეს სამეურნეო დარგს დღემდისაც ხვნა-თესვა შეადგენს, მდინარე დვანის-ფრონის ზვითა ნაწილი, რომელსაც ზემო ქართლს უწოდებენ, განსაკუთრებით ხორბლის კულტურით ცხოვრობს და ამ. რაიონიდან ორი სამი წლის წინეთ მილიონ ფუთობით პური და ქერი გადიოდა.

აქაურს დიდსა და მცირე სოფლებში მრავლათ მოიპოვებიან ერთისა და ხანდახან ორი გუთნეულის პატრონნი მხვნელ-მთესველნი გლეხთაგანი თუ აზნაურთაგანნი, რომელთა კარდამის შენობანი მოწყობილია ფართე მეურნეობის საჭიროებისათვის. ახლა ყოველივე ეს „ნორმას“ არ შეეფერება და სჩანს უნდა ზოგი გაიყიდოს, ზოგიც მოიშალოს.

ამ მხარის მემამულე ბატონი კოტე კალატოზიშვილის ოჯახი სოფელს წვერში მამაპაპით ეწეოდა დიდს მეურნეობას. თავის მიდამოში, მან პირველმა შემოიღო ყოველგვარი სამეურნეო იარაღი: სალეწი, სათიბი, სამკალი, სხვადასხვა სისტემის გუთანი. წელიწადში ხნავდა არა ნაკლებ 120 დღიურისა, რომლის მოსავალი 6,000 ფუთს ხორბალს შეადგენდა. მას ჰყავდა იერკშირის შესანიშნავ ჯიშისი ღორის ქარხანა, 800 სული ცხვარი, 60 სული ხარ-კამეჩი და მოცადობა, საფუთკრე და სხვა... მან გააშენა 12 დღიური ევროპული ხილის ბაღი ოთხი ვერსის სიშორით გამოიყვანა მილებით წყაროს წყალი და ამ ბაღის მოსარწყავათ ააშენა უზარმაზარი ბასეინი.

1905 წელს ამ იშვიათს მუშაკს ყოველივე გაუნადგურეს,

მოუსპეს ბაღი. ე. ი. ისევ „გაამინდვრეს“, აჰყარეს წყლის მილები, გაანადგურეს 20,000 მანათის სამეურნეო მანქანები და დაუწვეს შესანიშნავათ, ვეებერთელა, ევროპულათ მოწყობილი სახლი...

გულდამწვარმა ახალგაზდა მეურნემ სოფელზე გული აიცრუა და მოშორდა მას; მოშალა 60 ადლიანი საბძელ-ბოსლები. გაჰყიდა თვისი 3000 დღიური ადგილობრივ გლეხებზე, რომელთაც ეს ტრიალი მინდორი სულ ნაკუწნაკუწათ დაიყვეს და ამით მოსპეს მანქანებით წარმოების შესაძლებლობა.

მარა ბუნებით მეურნემ, ბატონმა კ. კალატოზიშვილმა ვერ გაუძლო ქალაქათ მოღვაწეობას და კვლავ დაუბრუნდა სოფელს, სადაც მას დარჩენილი ჰქონდა ოციოდე დღიური; ააშენა ახალი სახლი. გამოიყვანა მდინარე ფრონიდან არხი. გააშენა ორი მშვენიერი ხილის ბაღი. მოაწყო წისქვილი და ელექტრონის განათება და სხვა... ერთი სიტყვით სოფელში კვლავ დატრიალდა მხნე და კულტურული პიროვნება.

მარა.... ამა წლის გაზაფხულს ჩვენი ქვეყნის მტრებმა სახელად „ბოლშევიკებმა“ კაი ხალხის წაქეზებით გაუნადგურეს მას ერთიერთი მსხმოიარე ბაღი, რომლის ზარალი აღემატება 80,000 მანეთს. ამასთანავე მისი ამშენებელნი, რომელთაც დღეს თვითეულს ბევრათ მეტი მიწა აქვს, ვიდრე ამ კეთილშობილს მუშაკს, ცინიკურათ მოითხოვენ მისგან. რომ ეს ნაბადარიც მან სოფელს სანახიროთ შესწიროს.

—ი.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! „კლდის“ № მე 3-ში გადმობეჭდილია კორესპონდენცია გაზეთ „ალიონიდან“ ჩემი სახელითა და გვარით ხელმოწერილი, „ოსთა აჯანყების შესახებ“.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე ეს წერილი გამოგზავნილი მქონდა თავის დროზე, როგორც შეკითხვის მასალა, პარლამენტის წევრის გრიგოლ ვეშაპელის სახელზე, გაზეთ „საქართველოს“ ადრესით, სტუდენტ დ ბ-ძის ხელით.

ჩემთვის გაუგებარია როგორ მოხვდა ეს წერილი „ალიონის“ რედაქციაში და როგორ დასტამბა მან ეს წერილი, უცხო სოც.-დემ. გაზეთისთვის არა მარტო ადრესით, არამედ შინაარსის მიმართულებითაც.

ირაკლი დიდიძე.

## ჩვენს კორესპონდენტებს

რედაქცია სთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის კრიზისს და აგრარულ რეფორმის განხორციელებას.

**რედაქტორი:** გრიგოლ ვეშაპელი.


# სახხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულთა

დამხმარე კომიტეტი ამით მიმართავს თავისუფალ საქართველოს გულშემატკივარ მოქალაქეთ, არ დაიშურონ თავისი წვლილი უმწეო მდგომარეობაში მყოფთათვის, რომელთა რაოდენობა აღემატება ცისქვეშ, ღვთის ანაბარად დაყრილ 40-ს ოჯახს.

დაზარალდნენ აგრედვე კულტურული დაწესებულებანი: თეატრი, სამკითხველო და კოოპერატივი. შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: **სახხერე** კომიტეტის თავმჯდომარეს **ექიმ ქოლოშვილს.**

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდება ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელის

„მ ი წ ი ს ს ა კ ი თ ხ ი“

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

წიგნის საწყობი: „კ ლ დ ი ს“ კონტორაში.

# საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის ღალმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.


# ქართული ლატარიის პირობანი.

1. გამოცემულია ორასა ათასი ბილეთი ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთი ოცდახუთი მან. ღირს. კუპონი ხუთი მან.

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი, და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | მოგება | 100.000 მან. | 100.000 მან. |
| 1. | „ | 50.000 | 50.000 „ |
| 1. | „ | 25.000 | 25.000 „ |
| 2. | „ | 10.000 | 20.000 „ |
| 3. | „ | 5.000 | 15.000 „ |
| 5. | „ | 1.000 | 5.000 „ |
| 50. | „ | 500 | 25.000 „ |
| 180. | „ | 250 | 15.000 „ |
| 2150. | „ | 100 | 215.000 „ |

სულ 2393 მომგები ბილეთი 500.000 მან.

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელთ აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, უმაღლესი მთავრობისა, ტფილისის ქალაქის თვითმართველობისა, ერობისა, სახელმწიფო და ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ამის შემდეგ მოგები მისაღებად უნდა წარმოადგინონ ამიერ-კავკასიის ბანკში, ტფილისში, თავიანთი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეები ხვედრ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.


ექიმი

**დ. ჯავახიშვილი**

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.
ტელეფ. № 14—09.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.